პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 236 (10322) | ოთხშაბათი, 5 ოქტომბერი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ

წარმოების ოსტატი

წარმოების ცენტრალური ფიგურა! დიდი სახელია, რაც სოციალისტურ მრეწველობაში ასეთი სახელი დაუმკვიდრდა წარმოების ოსტატს. ამით სხარტად და ამომწურავად არის განსაზღვრული ის დიდი როლი, რომელიც მიკუთვნებული აქვს ოსტატს.

ოსტატი დგას იქ, სადაც წყდება გეგმის შესრულების ბედი. ოსტატი მუშებისათვის ყველაზე მახლობელი ადამიანია. ისინი ხომ მთელ სმუშაო დღეს ერთად ატარებენ, ერთ საწარმოო უბანზე და ერთი მიზნისათვის იბრძვიან! ამიტომ არის, რომ მუშები კარგ ოსტატს არა მარტო თავიანთ ხელმძღვანელად თვლიან, არამედ — აღმზრდელადაც.

საბჭოთა ოსტატები შეადგენენ ჩვენი წარმოების უმცროს და სამუალო მეთაურთა დიდ არმიას. ისინი არიან წარმოებისა და შრომის უშუალო ორგანიზატორები სამუშაო ადგილზე, სადაც განაღებულია ბრძოლა საწარმოო დავალების შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და საწარმოო ხარჯების შემცირებისათვის.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დიდი უფლებები მიანიჭეს ოსტატს. იგი არის სრულუფლებიანი ხელმძღვანელი წარმოებისა მინდობილ უბანზე და პასუხს აგებს დავალების შესრულებისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

ჩვენი რესპუბლიკის ქარხნებსა და ფაბრიკებში ცოტა როდია მოწინავე ოსტატი, რომელიც თავისი ჯგუფის, უბნის, ცვლის გამართული მუშაობით ხელს უწყობს საამქროს, მთელი წარმოების წარმატებით საქმიანობას. ასე მუშაობს თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის უბნის ოსტატი ი. შუბლაძე. იგი სწორად ანაწილებს უბნის ობიექტებზე მუშებს, საამქროს გეგმებიდან გამომდინარე თავისი საწარმოო უბნის ორკვირეულ სამუშაო გეგმას ადგენს, დროულად უზრუნველყოფს მუშებს სამუშაოთი და მასალებით. ი. შუბლაძესთან ბევრია სახელოსნო სასწავლებელდამთავრებული, წარმოებაში ახალმოსული. ოსტატი სისტემატურად უწევს მათ ინსტრუქტაჟს, პრაქტიკულად უჩვენებს, თუ როგორ უნდა დაამზადონ ესა თუ ის დეტალი, ასწავლის იარაღების ალესვასა და უნარიან გამოყენებას. გარდა ამისა, ახალგაზრდებისათვის აწყობს თავისი უბნის გამოცდილი მუშების საუბრებს, რომლებიც შრომის მოწინავე მეთოდებს და ხერხებს აცნობენ მათ. აქ ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. ყოველივე ამის შედეგად ი. შუბლაძემ მიაღწია იმას, რომ უბნის კოლექტივი სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს. ოსტატს ყოველთვიურად აქვს თავისი ფონდი იმათ წასახალისებლად, ვინც განსაკუთრებით გამოიჩენს თავს. უბანზე არ არის საწარმოო და შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევები. ოსტატის მუშაობა მარტო ამით როდი ამოწურება. იგი ხშირი სტუმარია საერთო საცხოვრებლისა, სადაც მისი უბნის მუშები ცხოვრობენ, მათთან ერთად მიდის ექსკურსიებზე, რომლებიც ქარხნის კოლექტივისათვის ეწყობა.

მაგრამ, როგორც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმზე აღინიშნა, ბევრი სამეურნეო ხელმძღვანელი სათანადოდ ვერ აფასებს ოსტატისა და უბნის უფროსის როლს წარმოებაში. ასეთი ფაქტები ხშირია ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეშიც. ჯერ კიდევ ცოტა რამ კეთდება ოსტატის ავტორიტეტის ასამაღლებლად. ხშირია შემთხვევა, როცა ოსტატს აკისრებენ ისეთ მოვალეობას, რომელიც მის ფუნქციებში არ შედის, არ უწყობენ ხელს შრომის მოწესრიგებასა და დროის რაციონალურად გამოყენებაში. ამიტომ მას სამუშაო დროის დიდი ნაწილი უნაყოფო სირბილში, კანცელარიულ ფუსფუსში ეკარგება.

თბილისის პლასტმასის ქარხანაში ოსტატებს დანიშნულებისამებრ არ იყენებენ. ისინი იძულებული არიან დრო დაკარგონ მასალების, იარაღების მომარაგებაზე არა მარტო თავის საწარმოში, არამედ ზოგჯერ სხვაგანაც. 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში საამქროს უფროსები ი. მინდიაშვილი და გ. ეჯუბოვი გვერდს უვლიდნენ ოსტატებს, თვითონ აძლევდნენ მუშებს დავალებებს. ასეთივე ფაქტებს ვხვდებით საქარფველოს სსრ ფართო მოხმარების საამრეწველო საქონლის სამინისტროს სისტემის საწარმოებში, ბათუმის მანქანათმშენებელ ქარხანაში. რა თქმა უნდა, ოსტატისადმი ასეთი დამოკიდებულება არ უწყობს ხელს მისი როლისა და ავტორიტეტის ამაღლებას, რისკენაც უნდა ისწრაფოდნენ საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები.

ხშირად ოსტატებს აკლიათ ცოდნა, ხელმძღვანელობის გამოცდილება, ხოლო საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელები არ იღებენ ზომებს მათი კვალიფიკაციის ასამაღლებლად, წარმოებისაგან მოუწყვეტლად დაუსწრებელ სწავლებაში ჩასაბმელად, მოწინავეთა გამოცდილების გასავრცელებლად.

საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს საწარმოში ოსტატების შერჩევას, მათი შემადგენლობის დაკომპლექტებას უმაღლესი და სამუალო ტექნიკური განათლების მქონე პირებით. საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან შეუნელებლად ზრუნავდნენ ოსტატის როლისა და ავტორიტეტის ამაღლებისათვის, მოწინავე უბნების გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის. პერიოდულად უნდა ეწყობოდეს ოსტატთა შეხვედრები, თათბირები როგორც წარმოების შიგნით, ისე რაიონული და საქალაქო მასშტაბით.

ჩვენი დედაქალაქის წამყვანი სამრეწველო რაიონის — თბილისის ლენინის რაიონის სამრეწველო საწარმოებში 500-ზე მეტი საწარმოო ოსტატი მუშაობს. მათ დიდი წვლილი შეაქვთ რაიონის სამეურნეო წარმატებათა მოპოვებაში. პარტიის ლენინის რაიკომმა ამას წინათ მოაწყო რაიონის ფაბრიკა-ქარხნების ოსტატთა თათბირი. მას ესწრებოდნენ საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ხელმძღვანელები. ყოველმხრივ იქნა განხილული ოსტატებთან მუშაობის მდგომარეობისა და მათი როლისა და ავტორიტეტის ამაღლების საკითხი. თათბირის მონაწილეებმა მოწოდებით მიმართეს თბილისის მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა ოსტატებს დაუღალავად იბრძოლონ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, დანერგონ წარმოებაში ნოვატორთა გამოცდილება, ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება.

გუშინ საქმიან ვითარებაში ჩაიარა აგრეთვე ალკა თბილისის კომიტეტის მიერ მოწყობილმა წარმოების ოსტატთა საქალაქო კრებამ სამრეწველო საწარმოთა კომკავშირულ აქტივთან ერთად.

მრეწველობისა და ტრანსპორტის საწარმოთა სამეურნეო, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების ვალია ხელი შეუწყონ ოსტატებს, რომ მათ უნარიანად გაანაწილონ მუშები უბანზე, დროზე და ბეჯითად მოამზადონ თვითეული სამუშაო ადგილი, მაქსიმალურად გამოიყენონ ჩარხები, მანქანები, მოწყობილობა. ოსტატი თავის მხრივ მოვალეა სისტემატურად უწევდეს ინსტრუქტაჟს ახალგაზრდა მუშებს, თვალყურს ადევნებდეს ოპერაციების ხარისხიან შესრულებას, იღებდეს ზომებს საწარმოო და შრომის დისციპლინის დაცვისათვის, რაზმავდეს მუშებს ნედლეულისა და მასალების ეკონომიურად ხარჯვისათვის. ოსტატი უნდა იძლეოდეს წარმოებაში სიახლეთა გამოყენების მაგალითს, იყოს ტექნიკური პროგრესისათვის დაუცხრომელი მებრძოლი.

მხარი დავუჭიროთ, ხელი შევუწყოთ წარმოების ოსტატებს, რომ ახალი საწარმოო წარმატებებით შეხვდნენ პარტიის XX ყრილობას.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

მრავალშვილიანი დედებისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მიენიჭოთ „გმირი დედის“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „გმირი დედის“ ორდენი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი დედებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ბეფანიძეს** ულფეტ ახმედის ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასსრ ქედის რაიონის სოფელი ზინდიდი.
2. **ბრეგაძეს** მარიამ დანიელის ასულს—ტყიბულის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
3. **ლომთათიძეს** ვერა სიდორის ასულს — კოლმეურნეს, ტყიბულის რაიონის სოფელი ოჯოლა.
4. **მამალაძეს** შუშანა პავლეს ასულს—კოლმეურნეს, ჩიხატაურის რაიონის სოფელი ხიდისთავი.
5. **მურადიანს** არმუშ ჩატოს ასულს — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.
6. **რუბაშვილს** ნუცა დმიტრის ასულს — დუშეთის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.
7. **ცორმუტიანს** იუგაბერ ლევანის ასულს— ადიგენის რაიონის ედანოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი, 1955 წ. 27 სექტემბერი.

საბჭოთა საქართველოს დღე

ახალი ხილის გადამუშავება

სოხუმი. (საკ. კორ.). სოხუმელი მეკონსერვეები სწრაფი ტემპით ამუშავებენ ახალი მოსავლის ხილს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად ქარხნის კოლექტივმა იკისრა წლის ბოლომდე გამოუშვას 5.500 ათასი ქილა მურაბა, კომპოტი, ჯემი და მწნილი.

სექტემბრის დავალება აქ ორ დეკადაში გაანაღდეს. თვის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვეს ასი ათასზე მეტი ქილა კონსერვი.

ამ დღეებში კომპოტის საამქროში კარგად იმუშავეს ა. უვაროვას და ა. გრიშჩენკოს ბრიგადებმა. ისინი ერთმანეთს ეჯიბრებიან და სისტემატურად ამაღლებენ შრომის ნაყოფიერებას.

ეთერზეთოვანი კულტურების უხვი მოსავალი

გულრიფში. (საკ. კორ.). სოფელ დრანდის კოლმეურნეობა „ახალ სოფელში“ 13 ჰექტარი უკავია ეთერზეთოვან კულტურებს. კარგად მოუარეს გერანსა და რეჰანს. ამ მხრივ აღსანიშნავია კოლმეურნეების მ. სტაიანოვას, ტ. ეუკოვას, ა. შტირიოვას, ე. ბუთბას, ზ. ქავროვას ენერგიული მუშაობა ეთერზეთოვანი კულტურების მოსავლიანობის გასაადიდებლად.

კოლმეურნეობაში გაჩაღებულია გერანის მოსავლის აღება. აქ გერანს 10 ჰექტარი ფართობი უკავია. გეგმით გათვალისწინებული იყო 55 ტონა ნედლეულის მიღება. მოსავალმა საგრძნობლად გადააჭარბა მოლოდინს, სექტემბრის პირველი ნახევრისათვის აღებული იყო 150 ტონაზე მეტი გერანი.

კოლმეურნეთა პირობაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავად გეგმის გადამეტებით აიღონ 50 ტონა გერანი. კოლმეურნეები რეჰანის, პაჩულის და სხვა ეთერზეთოვანი კულტურების მაღალ მოსავალს მოელიან.

ზოოვეტერინარული ტექნიკუმი დუშეთში

დუშეთი. (საკ. კორ.). დაიწყო პირველი სასწავლო წელი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ზოოვეტერინარულ ტექნიკუმში, რომელიც მომდინარე წელს გაიხსნა.

ტექნიკუმის ორ განყოფილებაზე ჩარიცხულია 60 მოსწავლე. მათ შორის არიან თიანეთიდან, ლენინგორიდან, თელავიდან, დმანისიდან და საქართველოს სხვა რაიონებიდან ჩამოსული ახალგაზრდები.

მომავალ წელს ტექნიკუმისათვის აშენდება ახალი შენობა და მოსწავლეთა საერთო საცხოვრებელი, მოეწყობა მეცხოველეობის სასწავლო მეურნეობა.

14,4 მილიონი მანეთის პროდუქცია გეგმის გადამეტებით



დიდი შრომითი აღმავლობაა თბილისის ჩაის საწონ ფაბრიკაში. ჩაეხა რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ფაბრიკის კოლექტივმა იკისრა სამშობლოს წლიური გეგმის გადამეტებით მისცეს 14,4 მილიონი მანეთის პროდუქცია. ფაბრიკამ სასაქონლო პროდუქციის გამოშვების სექტემბრის გეგმა შეასრულა 124,3 პროცენტით, ხოლო საერთო პროდუქციისა — 114,9 პროცენტით. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით არის განაღდებული მესამე კვარტალის სახელმწიფო გეგმა. ამავე დროს აქ მტკიცედ იცავენ ნაასორტიმენტო დავალებას.

მკვეთრად გაიზარდა უმაღლესი ხარისხების ჩაის გამოშვება.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ სამანქანო საამქრო და ხელით შემფუთავი ბრიგადა, რომელსაც ა. ნოგაი ხელმძღვანელობს.

მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელეს სამანქანო საამქროს ოსტატებმა ა. ივანიშვილმა, გ. მაკიევმა და ი. გოროდეცკიმ, რომლებიც დავალებებს სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ანაღდებდნენ. მათ არც ჩაის შემფუთავი ავტომატის მემანქანეები ჩამორჩებიან.

• • •

სურათზე: ჩაის შემფუთავ ავტომატთან ნ. დონცოვა (მარჯვნივ) და თ. ჯაჯანიშვილი, რომლებიც ყოველდღიურ დავალებას 120-125 პროცენტით ანაღდებენ.

ფოტო შ. გოკაძისა.

დავით გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავისათვის

სტალინირი. (საკ. კორ.). **საბჭოთა ოსეთის საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში ფართოდ გაიშალა მზადება დიდი ქართველი პოეტის დ. გურამიშვილის დაბადების 250 წლისთავის აღსანიშნავად.**

სტალინირის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შექმნილია დ. გურამიშვილის საიუბილეო დღეების მომწყობი კომისია.

კომისიის გეგმით საწარმოდაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში ეწყობა ლექციები, მოხსენებები, საუბრები, მიძღვნილი პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი. ლექციებს კითხულობენ სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტები: ტ. სარიშვილი, ა. ღლონტი, კ. დონაძე, ა. თოფურია, პარტიის საოლქო, სტალინირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების ლექტორთა ჯგუფების წევრები, აგრეთვე საოლქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების, მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორები.

სტალინირის ნ. კრუპსკაიას სახელობის ბიბლიოთეკაში მოეწყო გამოფენა „დ. გურამიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“. ასეთივე გამოფენებია მოწყობილი ბევრ სასოფლო კლუბსა და ბიბლიოთეკაში.

საიუბილეო დღეებში სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობა გამოსცემს სტალინური პრემიის ლაურეატის პოეტ სიმონ ჩიქოვანის პოემას „სიმღერა დავით გურამიშვილზე“.

ოლქის მრავალმა საწარმოდაწესებულებამ მოაწყო ექსკურსია სოფელ საგურამოსა და ლამისყანაში.

მცხეთა. (საკ. კორ.). ამ დღეებში დიდი გამოცოცხლებაა დავით გურამიშვილის მშობლიურ სოფელ საგურამოში. სოფლის მშრომელები გაცხოველებით ემზადებიან დ. გურამიშვილის ზეიმით აღნიშვნისათვის. სოფელში იკითხება დ. გურამიშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი ლექციები-მოხსენებები, ეწყობა საუბრები. ამ დღეებში წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე: „დავით გურამიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა“, „ლესია უკრაინკა და საქართველო“.

სოფლის აგიტატორები დ. უნდილაშვილი, გ. ნიტლაშვილი, თ. გზირიშვილი და სხვები კოლმეურნეებთან აწყობენ საუბრებს პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე.

საგურამოს სახოფლო-სამეურნეო საშუალო სკოლაში, რვაწლიან სკოლასა და სოფლის ბიბლიოთეკაში გამოვიდა დ. გურამიშვილის საიუბილეო თარიღისადმი მიძღვნილი კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები. სოფლის ცენტრიდან დ. გურამიშვილის ნახახლარამდე შეკეთდა გზა. საგურამო ემზადება მწერალთა დელეგაციებისა და სტუმრების მისაღებად.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ათი წელი

მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის პროფკავშირული აქტივის კრება

სხვა ქვეყნების მშრომელებთან ერთად საბჭოთა ადამიანებმაც ზეიმად აღნიშნეს პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ათი წლისთავი. ამ ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით მოსკოვისა და [illegible] აქტივის კრება, რომელიც გაიმართა 3 ოქტომბერს.

საღამოს შვიდი საათისთვის კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ ქარხნებისა და ფაბრიკების, ახალშენებათა და ტრანსპორტის მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელნი. დამსწრეთა შორის იყვნენ მთელი რიგი უცხო ქვეყნების პროფკავშირული და მუშათა დელეგაციები.

კრება გახსნა მოსკოვის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. კრესტიანინოვმა, რომელიც მიესალმა დარბაზში მყოფ უცხოელ სტუმრებს. მოხსენება „პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ათი წელი“ გააკეთა საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა ნ. ვ. პოპოვამ.

ილაპარაკა რა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შექმნის ისტორიაზე, ნ. ვ. პოპოვამ აღნიშნა, რომ თავისი არსებობის პირველ დღეებიდანვე ფედერაცია გახდა მსოფლიო პროფკავშირული მოძრაობის წამყვანი ძალა.

ამჟამად პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციაში შედის 80 მილიონზე მეტი კაცი.

ნ. ვ. პოპოვამ განსაკუთრებით აღნიშნა საბჭოთა პროფკავშირების ძმური ურთიერთობის გამმტკიცება უცხო ქვეყნების მშრომელებთან. მან მისალმების გულითადი სიტყვებით მიმართა დარბაზში მყოფ უცხოელ სტუმრებს და გამოთქვა სურვილი, რომ საბჭოთა კავშირში მოდათოდეს მეტი პროფკავშირული და მუშათა დელეგაცია, მათ შორის ინგლისიდან, შეერთებული შტატებიდან და სხვა ქვეყნებიდან.

— საბჭოთა პროფკავშირები დარწმუნებული არიან, — განაცხადა მოხსენების დასასრულს ნ. ვ. პოპოვამ, — რომ ცალკეული ქვეყნების პროფკავშირთა თანამშრომლობას არ უნდა უშლიდეს ხელს არც პოლიტიკურ შეხედულებათა სხვადასხვაობა, არც ამა თუ იმ საერთაშორისო ორგანოსადმი კუთვნილება. პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სახელოვანი ათი წლისთავის დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელები მხურვალედ მიესალმებიან ფედერაციას და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ იგი კვლავაც მაღლა ატარებს მშვიდობის, ერთიანობისა და პროლეტარული სოლიდარობის დროშას.

მოხსენების შემდეგ კრების მონაწილეთათვის გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება

3 ოქტომბერს შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა თბილისის პროფკავშირული აქტივის კრება, მიძღვნილი პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის შექმნის ათი წლისთავისადმი.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის საწარმოთა მუშები, პროფკავშირული, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, ინტელიგენციის წარმომადგენელნი.

მოხსენება „პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ათი წელი“ გააკეთა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. მ. ლელაშვილმა. მომხსენებელმა აღნიშნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის ათი წლის მოღვაწეობა, ფედერაციისა და მასში შემავალი პროფკავშირების ბრძოლა მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებისათვის, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის.

კრებაზე მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს ს. მ. კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ხარატმა ამხ. ა. აგაჯანოვმა, მწერალმა ამხ. ა. ბელიაშვილმა, სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა ლაურა ვრიგოლაშვილმა და სხვ. მათ ილაპარაკეს იმაზე, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მთელი ათი წლის ისტორია მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის ინტერესებისათვის სამსახურის მაგალითია.

კრების მონაწილეებისათვის გაიმართა კონცერტი. (საკდესი).

ი. ვ. მიჩურინის დაბადების 100 წლისთავის გამო

განვახორციელებთ ბუნების დიდი გარდამქმნელის სანუკვარ ოცნებას

მიჩურინსკი. (საკდესის სპეც. კორ.). ქალაქის ერთ-ერთ გარეუბანში ასობით ჰექტარზე გადაბიმულია ი. ვ. მიჩურინის სახელობის მეხილეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ბაღები, საკენკრეები, სანერგეები და ვენახები. ინსტიტუტის ბაღში გამოყვანილია ორი ათასზე მეტი ჯიშის სხვადასხვა ხილ-კენკრის კულტურა. საბჭოთა კავშირში ეს უდიდესი კოლექცია დიდ სახელმწიფო ღირებულებას წარმოადგენს. ასეთი ექსპერიმენტული ბაზა საშუალებას აძლევს ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა დიდ კოლექტივს აწარმოოს ცდები ისეთი მასშტაბით, რომელზეც ოცნება არ შეუძლიათ არც ერთი კაპიტალისტური სახელმწიფოს მეცნიერებს.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ინსტიტუტის დირექტორმა ი. ვ. ბელოხონოვმა ილაპარაკა მეცნიერ თანამშრომელთა კოლექტივის მუშაობის ზოგიერთ შედეგზე, რომლებიც განზოგადებულია ღირსშესანიშნავი თარიღისათვის — ი. ვ. მიჩურინის დაბადების შეასე წლისთავისათვის.

— ჩვენი ინსტიტუტისა და მისი 23 საცდელი სადგურის მუშაობას, რომლებიც რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა ბუნებრივ-ეკონომიურ ზონებში მდებარეობენ, საფუძვლად უდევს ამოცანა — რაც შეიძლება მალე დაენერგოთ ი. ვ. მიჩურინის მეცნიერულ-პრაქტიკული მიღწევები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მებაღეობაში, ავითვისოთ და შემდგომ განვავითაროთ ბუნების დიდი გარდამქმნელის მეცნიერული მემკვიდრეობა.

იყენებს და შემოქმედებითად ავითარებს რა მიჩურინის მოძღვრებას და ადამიანისათვის საჭირო მიმართულებით მცენარეთა გარდაქმნის მის მეთოდებს, ინსტიტუტმა თავისი საცდელი სადგურების ყსლეით შექმნა ხილ-კენკრის კულტურების მდიდარი ჰიბრიდული ფონდი, რომელშიც 500 ათასზე მეტი მცენარეა. უკანასკნელ წლებში ჰიბრიდული ფონდიდან გამოიყო და სახელმწიფო და საწარმოო გამოცდისათვის გადაეცა 365 ახალი ჯიში, რომლებიც გამოირჩევიან მაღალი სამეურნეო და ბიოლოგიური თვისებებით. როცა ექმნით ახალს და გარდაქმნით ძველს, ჩვენ მივდევთ ივანე ვლადიმერის-ძის მითითებას, რომ ხეხილი განუწყვეტლივ უნდა ვაუმჯობესოთ.

ჩვენს ახალ ჯიშებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვაშლს — მეხილეობის წამყვან კულტურას რუსეთის ფედერაციაში. უწინარეს ყოვლისა შეიქმნა საადრეო სახეობათა დიდი ჯგუფი. ესენია „საადრეო პაპიროვკა“, „საადრეო გრუშოვკა“, „ბაზაფხული“, „ბაღის მზეთუნახავი“ და სხვ. ყველა ისინი ისეთ ცნობილ საზაფხულო ფორმებზე რამდენიმე დღით ადრე მწიფდება, როგორიც არის პაპიროვკა, გრუშოვკა, მოსკოვური, ბოროვინკა. გარდა ამისა, ისინი მოსავლიანობით, გემოთი, ადრე დამწიფებითა და ნაყოფის სიდიდით გაცილებით სჯობს ძველ ჯიშებს. გამოყვანილია საგვიანო ჯიშების ვაშლი, მათ შორის „მიჩურინის ხსოვნა“, „გამარჯვებული“, „საზამთრო უპირატესობა“, „ივანოვკა“. მათი დიდი უპირატესობა ის არის, რომ ნაყოფი გაცილებით მეტ ხანს ინახება, ვიდრე, მაგალითად, ჩვეულებრივი „ანტონოვკა“.

და, ბოლოს, შექმნილია ზამთარგამძლე ჯიშების ვაშლის დიდი ჯგუფი ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონებისათვის, ციმბირისა და ურალსათვის. მათ დიდი ზამთარგამძლეობა აქვთ და უძლებენ 55 გრადუსამდე ყინვას. ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა იმ რაიონებში, სადაც წინათ მხოლოდ ოლენბობდნენ მებაღეობაზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაგვეშენებინა 40 ათას ჰექტარზე მეტი ფართობის სასაქონლო ბაღები.

განაგრძობს ი. ვ. მიჩურინის მუშაობას ჩრდილოეთში გარგარის დანერგვისათვის, ინსტიტუტმა მიიღო სამხრეთის ამ კულტურის ახალი ჯიშები. ისინი კარგად იზრდებიან ტამბოვისა და ვორონეჟის ოლქებში. ახლა უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ გარგარის სამრეწველო ნარგავების გაშენებაზე ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ რაიონებში.

ძნიშვნელოვანი მუშაობა შესრულდა ახალი ფორმების ქლიავის გამოსაყვანად. შექმნილია მტკიცე საფუძველი მისი სასაქონლო ნარგავებისათვის ვოლგისპირეთში და საბჭოთა კავშირის შუა ზოლის რაიონებში. ახალი ჯიშების ატმის გამოყვანამ საშუალება მოგვცა აგრეთვე ეს სუბტროპიკული კულტურა გადაგვეტანა ამერკავკასიიდან სტავროპოლის მხარეში, ესე იგი რამდენიმე ასეული კილომეტრით ჩრდილოეთისაკენ. ახლა ჩვენ გვაქვს აგრეთვე მთელი რიგი უძვირფასესი სამამულო ჯიშების მარწყვი. განსაკუთრებით მაღალ ღირსებებით გამოირჩევა „ქომკავშირელი“, რომლის ბაღალი არ არის ზამთარგამძლეობისა და მოსავლიანობის მხრივ (ჰექტარზე 15 ტონამდე).

ი. ვ. მიჩურინი გვასწავლიდა, რომ ყველა რაიონისათვის არ შეიძლება იყოს უნივერსალური ჯიშები, რომ თვითეულ ოლქს უნდა ჰქონდეს ადგილობრივ პირობებთან შეგუებული თავისი ჯიშები. ასრულებენ რა ამ მითითებას, ინსტიტუტმა და მისმა სადგურებმა თვითეული ოლქისათვის შეიმუშავეს გარკვეული სტანდარტი — ხილ-კენკრის კულტურების ჯიშების ასორტიმენტი. მოხდა აგრეთვე საძირეების დარაიონება სხვადასხვა ზხარისა და ოლქისათვის.

ახალ გამოკვლევებთან ერთად, ინსტიტუტის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა მეცნიერების მიღწევების დანერგვა ფართო წარმოებაში. უკანასკნელ 20 წელიწადში ინსტიტუტმა და მისმა სადგურებმა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გადასცეს 4 მილიონზე მეტი მიჩურინული და სხვა ძვირფასი ხეხილის ნერგი, 5 მილიონზე მეტი ბუჩქი კენკრის კულტურები, მარწყვის 20 მილიონზე მეტი ჩითილი და სხვ. გამოიცა ასი სახელწოდების წიგნები — სახელმძღვანელოები. თითქმის ამდენივე ნაბეჭდი გამოცემა გამოუშვეს ინსტიტუტის სადგურებმაც.

1. პენზის ოლქი. ბეკოვოს რაიონის სოსნოვკის საშუალო სკოლის მასწავლებელი მიჩურინელი ა. პ. კორნეევი მრავალი წელია მუშაობს პამიდორის ახალი ჯიშების გამოყვანაზე. დიდ ინტერესს წარმოადგენს მის მიერ გამოყვანილი ჯიში „კორნეევსკიე“, რომელიც ცალკეულ ძირებზე 400 ცალამდე პამიდორს იხსამს 16 კილოგრამამდე საერთო წონით. უკანასკნელ წლებში ეს ჯიში მოპყავს ბევრ სელექციონერს ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთში და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში. **სურათზე:** ა. პ. კორნეევი „კორნეევსკიეს“ ჯიშის პამიდორის ძირთან. **2. სვერდლოვსკის ოლქი.** ურალში მებაღეობის განვითარებისათვის დიდ სამეცნიერო მუშაობას ეწევა სვერდლოვსკის მიჩურინის სახელობის ხილ-კენკრის სადგური. 10 წლის განმავლობაში აქ გამოყვანილია ხილისა და კენკრის 13 ახალი მაღალწიფებადი და უხვმოსავლიანი ჯიში. ამჟამად ბაღების ფართობი სვერდლოვსკის ოლქში 2 ათას ჰექტარს აღემატება. **სურათზე:** სადგურის წარჩინებული მებაღე მიჩურინელი პ. ა. დიბროვი აკვირდება ვაშლის ახალ ჰიბრიდულ ჯიშს.

ფოტო ვ. გრიშინისა და ა. გრაბოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საღღეისო თემაზე

დავაჩქაროთ კარტოფილის აღება-დამზადების ზემპი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ დადგენილებაში მოცემულია კარტოფილისა და ბოსტნეულის წარმოების გადიდების დიდი პროგრამა. აღოცანა ის არის, რომ უახლოეს ხანში კარტოფილით უზრუნველყოთ არა მარტო ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნილება, არამედ მნიშვნელოვნად გავადიდოთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, დავამაყოფილოთ ნედლეულით კვების მრეწველობა.

ასრულებდნენ რა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებას კარტოფილის — ამ მნიშვნელოვანი საკვები პროდუქტის, წარმოების ყოველი ლონისძიებით გადიდების შესახებ, საქართველოს მშრომელებმა უკანასკნელ ხანებში ერთგვარი მუშაობა გასწიეს მისი მოსავლიანობის ამაღლებისათვის.

მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა კარტოფილი უნდა აიღონ 28.227 ჰექტარზე. ამ ფართობის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის მეკარტოფილეობის ისეთ ძირითად რაიონებზე, როგორიც არის წალკა, ახალქალაქი, ახალციხე, დმანისი და სხვ.

კარტოფილის აღების მიმდინარეობა მოწმობს, რომ რესპუბლიკაში ამ სამუშაოს ტემპი არადამაკმაყოფილებელია. 1 ოქტომბრისათვის კარტოფილის ამოღების გეგმა კოლმეურნეობებს შესრულებული ჰქონდათ 23,6 პროცენტით. არასახარბიელო მდგომარეობაა ამ მხრივ არა მარტო მთიან რაიონებში (დმანისი, ახალქალაქი, თეთრი წყარო), სადაც ჯერ კიდევ მთელი ძალით არ გაუშლიათ მუშაობა, არამედ ზოგიერთ დაბლობ რაიონშიც (გორი, კასპი, თელავი, ლაგოდეხი, საგარეჯო და სხვ.). წალკის რაიონში კარტოფილის ამოღების გეგმა შესრულებულია 8,4 პროცენტით, დმანისის რაიონში — 30.8, ახალციხის — 43,4, თეთრი წყაროს რაიონში — 27,7 პროცენტით და ა. შ.

საქმის ინტერესები მოითხოვს კარტოფილის ამოღება ყინვების დაწყებამდე დამთავრდეს. ამოღებული კარტოფილის დაზიანების თავიდან ასაცილებლად იგი მინდვრიდან იმავე დღეს უნდა გამოვიტანოთ, გადავარჩინოთ, გავაშროთ და შევინახოთ კარგად მოწყობილ კარტოფილსაცავებში.

რედაქციას მოსდის მრავალი სიგნალი იმის შესახებ, რომ ზოგიერთ რაიონში, განსაკუთრებით კი მთიან რაიონებში ძალიან ჭიანურდება კარტოფილსაცავების რემონტი და ახალი ნაგებობათა მშენებლობა. ჩახუ, ამ რაიონების მტს-ებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელებს სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ გასული წლის მაგალითიდან, რომელიც მათ საჭირო საცავების უქონლობის გამო დაუშვეს შენახული კარტოფილის მნიშვნელოვანი დანაკარგები. საჭიროა მტს-ების დირექტორებმა, კოლმეურნეობების ხელმძღვანელებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა სასწრაფოდ შეამოწმონ კარტოფილსაცავებისა და საწყობების მდგომარეობა, უახლოეს ხანში დაამთავრონ მათი რემონტი, დეზინფექცია, მოიმარაგონ ტარა და წესრიგზე მოიყვანონ სატრანსპორტო საშუალებანი.

კარტოფილის მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებაზე დამოკიდებულია დამზადების გეგმის წარმატებით შესრულება, რასაც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ კარტოფილის დამზადების საქმეშიც არასახარბიელო მდგომარეობაა. იმის გამო, რომ კარტოფილისა და ბოსტნეულის ძირითადი დამამზადებელი — სამომხმარებლო კოოპერაცია არაოპერატიულად მუშაობს, ნელია კარტოფილის დამზადებისა და ქალაქში შეტანის ტემპი. ეს გარემოება იწვევს შფერხებას კარტოფილით მოსახლეობის მომარაგებაში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, დამამზადებელი ორგანიზაციები და სასოფლო-სამეურნეო ორგანოები მოწოდებული არიან ოპერატიულად უხელმძღვანელონ კარტოფილის ამოღებასა და დამზადებას.

მივცეთ საშობლოს მეტი კარტოფილი!

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია და წარმოების ნოვატორები

სადაც პარტიული ორგანიზაციები უნარიანად ახორციელებენ პარტიული კონტროლის უფლებას ადმინისტრაციის საქმიანობისადმი, სწორად ახამებენ პოლიტიკურ და სამეურნეო მუშაობას, იქ საწარმოო გეგმაც წარმატებით სრულდება, წარმოებაში ნერგავენ ახალ ტექნიკას და გაუმჯობესებულ ტექნოლოგიას, განუხრელად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას. ამას მოწმობს სამტრედიის სავაგონო დეპოს პარტიული ორგანიზაციის მუშაობის მაგალითი.

პარტიული ორგანიზაციის მთელი საქმიანობა მიმართულია ვაგონების შეკეთების აჩქარების ორგანიზაციისაკენ. იგი რაზმაეს დეპოს კოლექტივს შიდაარეზერვების სრულად გამოყენებისათვის, ყოველდღიურად მუშაობს წარმოების ნოვატორებთან და რაციონალიზატორებთან. ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვისათვის მეზრძოლთა პირველ რიგებში კომუნისტები არიან. პარტიული ორგანიზაციის ინიციატივითა და მხარდაჭერით დეპოში ნოვატორთა ბევრი რაციონალიზატორული წინადადება დანერგა, რომელთა განხორციელების შედეგად მნიშვნელოვნად გაიზარდა შრომის ნაყოფიერება.

წინათ გოგორწყვილების შესაცვლელად ვაგონებს დეპოში აყენებდნენ, ამასთან ამ სამუშაოს აწევითი შეკეთების საამქროს მუშაკები ასრულებდნენ. ეს გარემოება შეკეთებაში ვაგონების დიდ მოცდენას იწვევდა. აუხსნელი შეკეთების ცვლების უფროსებმა გ. კაკაძემ, ბ. რუხაძემ და გ. პაპავამ ამ წესის შეცვლა მოითხოვეს და წინადადება შეიტანეს, რომ გოგორწყვილების გამოსაცვლელად მოეწყოთ სპეციალური ლიანდაგი, სადაც ვაგონების დეპოში ჩაყენებისწამდე მოხდებოდა გოგორწყვილების შეცვლა და შეკეთება.

მაგრამ ამ წინადადებას გავრცელება არ ეღირსა. მაშინ საქმეში ჩაერია დეპოს პარტიული ორგანიზაცია. პარტიული ორგანიზაციის ბიუროს მდივანი ნ. გრიგოლია მოელაპარაკა დეპოს უფროსს მ. შენგელიას. მათ გულდასმით შეისწავლეს ნოვატორთა წინადადება და ცხადყვეს მისი წარმოებაში დანერგვის დიდი მნიშვნელობა. წინადადება მალე კიდევაც განხორციელდა. ამის შედეგად საგრძნობლად შემცირდა შეკეთებაში ვაგონების დგომის დრო.

ინჟინერმა ი. რუხაძემ დაამზადა ავტოგადასაბმელების მოძრავი ამწე, რომლის წარმოებაში დანერგვას აქტიურად დაუჭირა მხარი პარტიულმა ორგანიზაციამ. მოძრავი ამწის გამოყენებამ ცოტა სარგებლობა როდი მოუტანა დეპოს. წინათ ვაგონების ავტოგადასაბმელების მოხსნა-მორგებაზე 3 კაცი მუშაობდა, ·ახლა ი. რუხაძის მიერ დამზადებული მოძრავი ამწის გამოყენებით ამ ოპერაციას ერთი კაცი ასრულებს.

რკინიგზაზე ფართო გავრცელება ჰპოვა ვაგონების ჩქაროსნული შეკეთების საქმეში ლეონიძის სავაგონო დეპოს კოლექტივის გამოცდილებამ. მაგრამ სამტრედიის სავაგონო დეპოში ამ მეთოდის დანერგვას დიდხანს აგვიანებდნენ. პარტიული ორგანიზაცია დაინტერესდა ლეონიძის მეავაგონეთა თაოსნობით. ინჟინერ-ტექნიკოსებისა და წამყვანი პროფესიის მუშების თათბირზე, რომელიც პარტბიუროს მოიწვია, გადაწყდა ლეონიძის მეავაგონეთა გამოცდილების ფართოდ შესწავლა. ამ საქმის ორგანიზაციისათვის პასუხისმგებლობა ინჟინერ-ტექნიკოსებს დაეკისრათ. ეს იყო ივნისის პირველ ნახევარში. 17 ივნისიდან კი უკვე დაიწყეს ვაგონების ჩქაროსნული მეთოდით შეკეთება. მუშაობის პირველმა შედეგებმა ცხადყო ახალი მეთოდის დიდი უპირატესობა. მაგალითად, წლიური შეკეთებიდან ვაგონების გამოვლის დრო ნორმასთან შედარებით 50 პროცენტით შემცირდა.

პარტიული ორგანიზაცია დაწყებულ საქმეს ბოლომდე მიჰყვა. 24 ივნისს ვაგონების ჩქაროსნული მეთოდით შეკეთების პირველი შედეგები პარტიული ბიუროს მსჯელობის საგანი გახდა. პარტიუროს სხდომაზე გამომქცევნდა ნაკლოვანებები, რომლებიც აფერხებდნენ ამ პროგრესული მეთოდის ფართოდ გავრცელებას. აღინიშნა, რომ ლეონიძის მეავაგონეთა გამოცდილების წარმატებით დანერგვისათვის მარტო ოპერაციების მიხედვით მომუშავე ბრიგადების შემადგენლობის გაძლიერება როდი კმარა. ამისათვის საჭიროა აგრეთვე სათადარიგო დეტალების საკმარ რაოდენობით დამზადება, ტექნოლოგიური რეჟიმისა და დეფექტური უწყის-განრიგების შედგენა და სხვ. ამ ნაკლოვანებების სწრაფად აღმოსაფხვრელად დასახული იქნა სათანადო ღონისძიებანი. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ აქ ვაგონების შეკეთების გეგმას მუდამ დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ამრამად დეპოში მძლავრი შრომითი აღმავლობა. საამქროები და ცვლები, ბრიგადები და ცალკეული მეავაგონეები ერთმანეთს ეჯიბრებიან პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ვ. კოპალეიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

კედლის გაზეთების რედაქტორთა თათბირი-სემინარი

ბორი. (საკ. კორ.). საქართველოს კპ ბორის რაიკომმა და გაზეთ „სოციალისტური სოფლის“ რედაქციამ მოაწყეს რაიონის კოლმეურნეობების, მტს-ების, სამბჭოთა მეურნეობებისა და საწარმო-დაწესებულებების კედლის გაზეთების რედაქტორთა თათბირი-სემინარი.

თათბირი-სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები თემებზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლა და ძირეული პრესის ამოცანები“, „სარედაქციო კოლეგიის მუშაობის დაგეგმვა, კედლის გაზეთის გაფორმება“, „კორესპონდენტებთან მუშაობა“, „პარტიული ცხოვრებისა და სოფლის მეურნეობის საკითხების გაშუქება კედლის გაზეთში“.

ალვკვეთოთ სპეკულაცია, დავამყაროთ სანიმშმო საზოგადოებრივი წესრიგი ქალაქ ქუთაისში

დღითიდღე იზრდება და მშვენიერდება ქუთაისი — საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და ულამაზესი ქალაქი. საბჭოთა წყობილების წლებში აქ აშენდა მსუბუქი და მძიმე მრეწველობის მრავალი საწარმო, მრავალსართულიანი კეთილმოწყობილი შენობები. ქალაქს ყოველწლიურად ემატება ახალი სამრეწველო სიმძლავრენი და ლამაზი არქიტექტურული ნაგებობანი.

ქუთაისის მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აქტიურად მონაწილეობენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში. პარტიისა და მთავრობის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ფაბრიკებსა და ქარხნებში მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები თავიანთი მამაცური და პატიოსანი შრომით ქმნიან საზოგადოებრივ დოვლათს, ხელს უწყობენ ჩვენი საზოგადოების წინსვლას.

სოციალისტური წყობილების გამარჯვების საფუძველზე ჩვენში ძირეულად შეიცვალა ადამიანის სულიერი სახე, მისი მორალური თვისებები. საბჭოთა ადამიანები ყველაზე მაღლა აყენებენ საზოგადოების ინტერესებს. სოციალისტური სახელმწიფოს ინტერესებს. უსაქმურობის, უფესრიგობის, წამგლეჯობის მცირეოდენი გამოვლინებაც კი მათ სამართლიან აღშფოთებას იწვევს. მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში, როგორც გამონაკლისი, ჯერ კიდევ გვხვდება ცალკეული ადამიანები, რომლებიც დღემდე ვერ განთავისუფლებულან ბურჟუაზიული ფსიქოლოგიისგან, არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, თავს არიდებენ საზოგადოებასათვის სასარგებლო ბატიოსან შრომას, ხელიგნობენ, ქურდობენ, ეწევიან სპეკულაციას, მძარცველობას, სახელმწიფო ქონების დატაცებას.

ამ ნაძირალების წინააღმდეგ მამართულია საბჭოთა მართმსაჯულების ბასრი მახვილი. პროკურატურის და მილიციის ორგანოები და სახალხო სასამართლოები მოწოდებული არიან დაუნდობლად იბრძოლონ ხულიგნობის, სპეკულაციის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, სხვისის სამარცვლო დანაშაულობათა წინააღმდეგ, მთელი სისასტიკით აღკვეთონ ამ ბოროტმოქმედების ყოველგვარი გამოვლინება.

ქუთაისში ამ მხრივ, სამწუხაროდ, ყველაფერი რიგზე არ არის. ქალაქში ხშირია ხულიგნობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, სპეკულაციის, მოქალაქეთა და სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევები. და ეს იმითაც აიხსნება, რომ ამ დანაშაულებრივ მოქმედებათა წინააღმდეგ სუსტად იბრძვიან ქალაქის პროკურატურისა და მილიციის ორგანოები და სახალხო სასამართლეები. ძმძე დანაშაულის ჩამდენი პირები ხშირად დაუსჯელი რჩებიან პროკურატურისა და მილიციის ზოგიერთი მუშაკის მოუქნელობისა და წაყრუების გამო. ქალაქში ჩადენილი ბევრი დანაშაული გაუხსნელია. ასე მაგალითად, 1954 წელს ჩადენილი დანაშაულიდან გახსნილია მხოლოდ 56, ხოლო 1955 წელს ჯერ კიდევ გაუხსნელია 48 დანაშაული.

ქალაქის პროკურატურა სუსტად იბრძვის სპეკულაციის წინააღმდეგ და საზოგადოებრივი წესრიგის დასამყარებლად. ყოფილი პროკურორი ა. ზაქარაძე კონტროლს არ უწევდა თავის ხელქვეთ მუშაკებს, მინდობილი საქმისადმი იჩენდა გულგრილ დამოკიდებულებას, პირადად არ მონაწილეობდა მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებაში. ამიტომ სარგებლობდნენ პროკურატურის მუშაკები მ. ბათაშვილი, ვ. მილორავა, ზ. კლდიაშვილი და სხვები, რომლებიც უსაფუძვლოდ სამბდნენ სასსლის სამართლის საქმეებს. მაგალითად, ქალაქის პროკურატურაში ჯერ გაიკითხურეს გამოძიება, შემდეგ კი უკანონოდ მოსპეს ფ. გუმბერიძის საქმე, რომელიც აღიძრა სამრეწველო საქონლით სპეკულაციაში ბრალდების გამო. ასევე უკანონოდ არის მოსპობილი სპეკულანტ ფ. ბუზაშვილის საქმე. საერთოდ ქალაქის პროკურატურაში ხშირია საქმის უსაფუძვლოდ აღძვრის, გამოძიების გაჭიანურების, დამნაშავეთა მფარველობის, საქმის უკანონოდ მოსპობის შემთხვევები. არ იწურება პროტესტები სასამართლოს მიერ საქმის უსაფუძვლო აცილებაზე, გამოძიებლებს არ ეძლევათ წერილობითი მითითებანი. ნაკლებად ზრუნავენ გამომძიებლების იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, არ ამხილებენ და არ სჯიან უპასუხისმგებლო მუშაკებს, არ ახდენენ მიზნივანე გამომძიებელთა მუშაობის გამოცდილების განზოგადებას.

პროკურატურის ზოგიერთი მუშაკი თვითონ იჩენს უდისციპლინობას, ლოთობს და არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს. მაგალითად, სახალხო გამომძიებელი მ. ბათაშვილი მთვრალი ჩავიდა სპრტრედის რაიონის პროკურატურაში; შეურაცხყოფა მიაყენა და მუშაობაში ხელი შეუშალა იქაურ მუშაკებს.

პროკურატურის პარტიული ორგანიზაცია, რომელიც თავის რიგებში 8 კომუნისტს აერთიანებს, არადამაკმაყოფილებლად მუშაობს. აქ პარტიულ კრებებს იწვევენ ფორმალურად, მოვალეობის მოხდის მიზნით, საქმიანად არ განიხილავენ პროკურატურის მუშაობის მტკივნეულ საკითხებს. გამოაქვთ ზერელე, არაფრისმთქმელი დადგენილებები. პროკურატურის პარტიულმა ორგანიზაციამ 5 თვის დაგვიანებით განიხილა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება, რომელიც უშეალოდ პროკურატურის მუშაობას შეეხებოდა.

პროკურატურაში მომუშავე კომუნისტები ვერ ახორციელებენ აკანგარიშებულ როლს. პირიქით, ზოგიერთი მათგანი მეტად ცუდად მუშაობს. ამ მხრივ „პირველობა“ თვით პარტორგანიზაციის მდივანს ზ. კლდიაშვილს ეკუთვნის. ზ. კლდიაშვილმა, რომელიც გამომძიებლად მუშაობს, ჯერ გაიკითხურა, შემდეგ კი უკანონოდ მოსპო მ. გიორგობიანის საქმე, რომელიც აღიძრა სახელმწიფო ქონების მითვისებაში ბრალდების გამო. ზ. კლდიაშვილმა 10 თვეს გააჭიანურა მეგრელიშვილისა და მოშიაშვილის საქმე, რომლებმაც სახელმწიფო ქონება გაიტაცეს. ასეთი არაერთი ფაქტის დასახელება შეიძლება.

უდარდელი მილიციელები და დაუსჯელი ხულიგნები

ღამის პირველ საათი იქნებოდა, როცა ქუჩაში ატეხილმა ალიაქოთმა და აურზაურმა გამოაღვიძა სასტუმრო „ქუთაისის“ ახალჩაძინებული მობინადრენი. ძალინი უარჯრებს მიაწყდნენ და წინ ასეთი სურათი გადაეშალათ: ორი მილიციელი გამშგებულ ახოვან კაცს აკავებდა. შემოხვეული ტანსაცმელი მოწმობდა, რომ მას დიდი ჩხუბი გადაეხადა.

— მე მაჩერებთ და ხულიგნებს უშვებთ, ეს არის თქვენი ხამართალი! — ყვიროდა დაზარალებული.

— ვინ არის ხულიგანი? მართალია, ცოტა დაგზლეს, ცოტაც ტანსაცმელი დაგიხიეს, მაგრამ განა ეს არ ეპატიებათ სახელოვან დავალსა და ჩემი უფროსის შეილს! — ირონიულად უპასუხებდა მილიციის სერჟანტი ა. დოლაბერიძე, რომელსაც კვერს უკრავდა მასთან დასაწყარებლად მისული მილიციელი ვ. გაბრიჭიძე. როგორც შემდეგში გამოირკვა, „ჩემი უფროსის შვილი“ იყო ვინმე კვირკველია, რომლის მამა მილიციის მეორე განყოფილებაში მუშაობდა ოპერრწმენებულის თანამდებობაზე.

დილით ცნობილი გახდა, რომ იმ ღამეს დვალ და მის მეგობარს კვირკველიას მრავალი ხულიგნობა ჩაედინათ მილიციის მუშაკების წაყრუებით.

მილიციის საქალაქო განყოფილებაში გამოირკვა, რომ დვალი გამოუსწორებელი ხულიგანია და არაერთხელ ყოფილა მსჯავრდადებული. მეორე დღეს გაცემული განკარგულება დვალის დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ შეუსრულებელი დარჩა. ხულიგანი მიიმალა და განაგრძობს თარეშს.

დღემდე შეპყრობილი არ არის და ქალაქში თავისუფლად დასეირნობს დვალის თანმხლები ხულიგანი კვირკველიაც, ხოლო მილიციის უდარდელი მუშაკები, რომლებმაც ხულიგანები ხელიდან გაუშვეს, კვლავ დაუსჯელი რჩებიან და ჩვეული გულგრილობით განაგრძობენ „სამსახურს“.

ასეთი ფაქტები იშვიათი როდია. ამას წინათ სვანეთიდან ჩამოსულ და-ძმა ონიანებს შეურაცხყოფა მიაყენეს ხულიგნებმა ჩხიკვაძემ, ჭლიკაძემ და კინწურაშვილმა. მილიციის მუშაკებმა ეს ფაქტი უყურადღებოდ დატოვეს.

მილიციის საქალაქო განყოფილების მუშაკები აცხადებენ, ქალაქში უკანასკნელ პერიოდში ხულიგნობის შემთხვევები შემცირდაო და ამის დასადასტურებლად მოჰყავთ ციფრები. მართლაც, უკანასკნელ პერიოდში ქალაქის სამილიციო განყოფილებისა და მისი ქვეგანყოფილებების მიერ რეგისტრირებულია ხულიგნობის გაცილებით ნაკლები შემთხვევა. მაგრამ რა ფასი აქვს ამ ცნობებს, როცა ხულიგნობის ბევრი შემთხვევა აღურიცხველია, ხოლო დამნაშავენი დაუსჯელი რჩებიან.

ხოკრამეტები

სპეკულანტ კ. სულაბერიძეს ბინაში აღმოაჩნდა უამრავი ტყავეული. ეინმე ო. სულაკაძეს სპეკულაციის მიზნით მოსკოვიდან ჩამოიტანა დიდძალი სამრეწველო საქონელი. მილიციის საქალაქო განყოფილების მუშაკებმა ზ. დეიანძემ, გ. გიორგაძემ, გ. ნაცვლიშვილმა ორივე ეს სპეკულანტი დაიკავეს, შეუდგნენ გამოძიებას, დაკითხეს ბრალდებულები, მოწმეები. შეგროვებული დოკუმენტები აშკარად ადასტურებდნენ კ. სულაბერიძისა და ო. სულაკაძის ბორტმოქმედებას, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გამოძიება შეწყვიტეს, დამნაშავეები გაათავისუფლეს და გამოიტანეს დადგენილება ამ პირთა მიმართ არ აღძრულიყო სისლის სამართლის საქმე.

მეორე სამილიციო განყოფილების პარტიული ორგანიზაციის კრებაზე არა ერთხელ ამხილეს სპეკულანტი ძ. ხანანაშვილი (ზეციმეტ საზელად „ბულია“) და მოითხოვეს მის მიმართ ზომების მიღება. სამწუხაროდ, განყოფილების ხელმძღვანელებმა ეს სიგნალი უყურადღებოდ დატოვეს.

ამას წინათ პარტიის საქალაქო კომიტეტისა და ეკონომიკის სახელმწიფო ინსპექციის მუშაკებმა დანაშაულზე წასაწყრეს სპეკულანტებს, რომლებიც კარქის, ბრინჯაოსა და ფეხსაცმლის გადაყიდვას აწარმოებდნენ, მაგრამ მილიციას ნეორე განყოფილების თანამშრომლების მამაგეშვილის, ბოკორაშვილის, დეკანიძისა და ხვადგიანის დაუდგენლობით სპეკულანტებმა „შეძლეს“ გაქცევა და მიმალვა.

ქუთაისის საკოლმეურნეო ბაზრის დირექცია და მილიციის ორგანოები ძირითადად სპეკულაციის შემთხვევების რეგისტრაციით კმაყოფილდებიან, ხოლო მათ აღსაკვეთად გადამჭრელ ზომებს არ იღებენ. 1955 წლის გამოცალობაში № 1 საკოლმეურნეო ბაზარზე სპეკულაციისათვის რეგისტრირებულია 243 მოქალაქე. მათგან საგამომძიებლო ორგანოებს გადაეცათ 12 სპეკულანტის საქმე, მაგრამ დღემდე მათ წინააღმდეგ არავითარი კონკრეტული ზომები არ მიუტარებიათ.

უხეირო გამოკიდება და მიმალული დამნაშავე

1954 წელს ქუთაისში უცნობმა ბორბოტმოქმედებმა ზედიზედ გატეხეს და გაქურდეს 15 ბინა. იმავე პერიოდში გაძარცვეს „ლაჯანურ-ჰესის“ მუშაობა მომარაგების განყოფილების სატვირთო მანქანა, სადანაც გაიტაცეს 22.000 მანეთის სამრეწველო საქონელი.

იმავე წლის ოქტომბერში მილიციის ორგანოებმა დანაშაულის კვალს მიაგნეს, მკერავ მ. ზედაშიძის ბინაში აღმოაჩინეს დიდძალი გადაკეთებული ტანსაცმელი. დაზარალებულებმა ამ ტანსაცმელში თავიანთი დაკარგული ნივთები ამოიცნეს. აქვე აღმოჩნდა იმ საქონლის ორი ნაჭერი, რომელიც „ლაჯანურ-ჰესის“ მანქანის გაძარცვისას გაიტაცეს.

გამოძიებით გამოირკვა, რომ ეს ნივთები ზედაშიძესთან მოუტანიათ და 15 ბინის გაქურდვაში მონაწილეობა მიუღიათ ბ. სუთაძეს, ა. რობაქიძეს, ჩ. მორჩაძეს. მილიციის მუშაკებმა, კერძოდ კი მილიციის უფროსმა ლეიტენანტმა გ. გიორგაძემ, საქმე ოპერატიულად ვერ წარმართეს და დაარდვიეს გამოძიების წესები. ხოლო ქალაქის ყოფილმა პროკურორმა ა. ზამბახიძემ საქმისადმი გულგრილი და უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გამოიჩინა. ამის შედეგად მთავარ დამნაშავე ბ. სუთაძეს საშუალება მიეცა პატიმრობიდან თავი დაეძვრინა.

ამრამად კი ეს საქმე სახალხო სასამართლოს ერთი უბნიდან მეორეში უშედეგოდ მოგზაურობს.

იყო ასეთი შემთხვევაც: 1954 წელს 12 აგვისტოს ქუთაისის ქუჩაზე ერთმანეთს დაეჯახა ორი სატვირთო ავტომანქანა გპ 73-85 და გპ 64-04, რომლებიც ქუთაისის ავტოსატრანსპორტო კანტორის ეკუთვნის. დამნაშავე შოფერი ო. ლილუაშვილი მიიმალა. გამოცხადდა მისი ძებნა. ამ პერიოდში ლილუაშვილმა მოახერხა ავტოსატრანსპორტო კანტორიდან შრომის წიგნაკის გატანა, რომელშიც ჩაუწერეს — განთავისუფლებულია თანახმად თავისი განცხადებისაო. ამ წიგნაკით მან მუშაობა დაიწყო შუშის ქარხანაში, რომელიც მილიციის საქალაქო განყოფილების მახლობლად მდებარეობს და თვეების განმავლობაში არხეინად გრძნობდა თავს. მხოლოდ 11 თვის შემდეგ მოზერხდა დამნაშავის შეპყრობა. ეს ფაქტი მილიციის მუშაობის, მეტი რომ არა ვთქვათ, არაოპერატიულობაზე მეტყველებს.

ერთი „პოგედის“ ისტორია

მილიციის საქალაქო განყოფილების ავტონსპექციის მუშაკებმა დააკავეს ავტომანქანა „პობედა“ გპ 40-15, რომელსაც მართავდა მისი მფლობელი სპორტსმენი ბ. ბაბალიკაშვილი. საეჭვოდ ეჩვენა, რომ ინსპექციის თანამშრომლებს, მანქანის მეპატრონის კატეგორიული მოთხოვნის მიუხედავად, არ შეუდგენიათ ჩაშორთმევისა და მანქანის ჩაბარების აქტი. ეს კი მათ თავიდან ხსნიდა პასუხისმგებლობას მანქანის ორსებულ ტექნიკურ მდგომარეობაში შენახვისათვის და მისი ექსპლოატაციის საშუალებას იძლეოდა. ბაბალიკაშვილის არიერი თხოვნა — დაებრუნებინათ მისთვის უკანონოდ ჩამორთმეული მანქანა — უყურადღებოდ რჩებოდა.

ამავე დროს მილიციის საქალაქო განყოფილების თანამშრომელმა ჰუსეინ კადიმმა ბაბალიკაშვილს წინადადებათ მიმართა: სულ ერთია მანქანას აქედან არ გაგატანენ და უმჯობესია მე მომყიდო. ყოველივე ამის შემდეგ ბაბალიკაშვილი იძულებული გახდა მანქანა გაეყიდა.

ჰუსეინ კადიმმა წადილი შეისრულა, მაგრამ დანაშაულს კვალი რომ დაემალა, მანქანა თავის ნათესავს ა. ნირზოვეს გაუფორმა.

ეს ხმა გამოძალეა, რაც მილიციის მუშაკისათვის შეუწყარებელი და უღირსი საქციელია.

საყურადღებოა ერთი ფაქტიც. ჰუსეინ კადიმი დაკავშირებულია საეჭვო პირებთან, რომლებიც არსად არ მუშაობენ და არავითარ საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას არ ეწევიან. ერთი მათგანია ზემოხსენებული ბ. ხანანაშვილი („ბულია“).

მილიციის მუშაკთა შორის დაბალ დონეზეა მასობრივ-პოლიტიკური და აღმზრდელობითი მუშაობა. არის შრომის დისციპლინის დარღვევის, ლოთობის შემთხვევები. მილიციის უფროსი ლეიტენანტი ა. აბუთაძე დღისით დათვრა, ტაქსი ჩაჯდა, ტვერდი მეარღნე მოსვა და სამღერით ქალაქის ცენტრალური ქუჩები შემოიარა.

ქუთაისის მილიციისა და პროკურატურის ორგანოების მუშობაში არსებული ნაკლოვანებანი მნიშვნელოვანწილად იმითაც აიხსნება, რომ მათ შორის არ არსებობს საქმიანი კონტაქტი, ქალაქის პროკურატურა სუსტ ზედამხედველობას უწევს მილიციის ორგანოებს და ნაკლებ ინტერესს იჩენს მათი საქმიანობისადმი.

მთელი საზოგადოებრიობის ღვიძლი საქმე

სპეკულაციის, ხულიგნობის, საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა წარმატებას მაშინ მიაღწევს, თუ ამ საქმეში პროკურატურის, მილიციის ორგანოებსა და სახალხო სასამართლოებთან ერთად ჩაბმული იქნება მშრომელთა ფართო მასები, მთელი საზოგადოებრიობა. სამწუხაროდ, ქუთაისის სინამდვილეში ეშვიათად როდი გვხვდება ისეთი ფაქტები, როცა ცალკეული მოქალაქეები დახმარების ნაცვლად ხელს უშლიან საგამომძიებლო ორგანოებს დამნაშავეთა მხილებასა და დასჯაში.

ქალაქის პროკურატურაში სპეკულანტ ნ. გრძელიშვილის საქმეზე მოწმედ დაკითხეს ქუთაისის სანეიტალიზაციო ტრანსმშრომელი თ. ბერაშვილი. პირველად მან უარყო სპეკულანტის ჩვენება — თითქოს მისთვის ბაზარზე გასაყიდად გაეტანებინოს სამრეწველო საქონელი. სასამართლო პროცესზე კი შეეცადა სპეკულანტის გადარჩენას და საწინააღმდეგო ჩვენება მისცა.

* * *

სერიოზული ნაკლოვანებანი ქალაქის პროკურატურის, მილიციის ორგანოების, სახალხო სასამართლოების მუშობაშია ამის შედეგია, რომ მათ სუსტ ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევს პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი. ქალაქის პარტიულმა ორგანიზაციებმა და პირველ რიგში პარტიის საქალაქო კომიტეტმა ვერ უზრუნველყვეს მშრომელთა ფართო მასების, მთელი საზოგადოებრიობის დარაზმა სპეკულაციისა და ხულიგნობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მართალია, პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ არაერთხელ განიხილა სპეკულაციისა და ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლის, პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობის საკითხები, ამხილა ნაკლოვანებანი და მიიღო ერეული დადგენილებანი, მაგრამ ყოველივე ამას არ გამოუწვევია რაიმე გაუმჯობესება პროკურატურისა და მილიციის ორგანოების მუშაობაში, სპეკულაციისა და ხულიგნობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს იმიტომ მოხდა, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტში ჯერ კიდევ დაძლეული არ არის მუშობის კანცელარული, ბიუროკრატიული სტილი, კვლავ დიდი ყურადღება ექცევა ქაღალდების თხზვას და ლიდგენილებათა შეიდგენას, ხოლო მასებში ცოცხალი ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშობა მოისუსტებს. ამიტომ არის, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტის დადგენილებანი შეუსრულებელია, ხოლო ნაკლოვანებანი კვლავ გამოუსწორებელია. საქალაქო კომიტეტმა ვერ შეძლო გადამჭრელი ზომები მიეღო მილიციისა და პროკურატურის ორგანოების მუშობაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მ. არუშიძე,
გ. მეფისაშვილი,
გ. ხენგავა,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ახალგაზრდა მწყემსების ღირსების საქმე

საამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის წამყვან დარგს მეცხოველეობა წარმოადგენს. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადწყვეტილებებს სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის შესახებ აღფრთოვანებით გამოეხმაურნენ საამხრეთ ოსეთის ორგანიზაციები და ახალგაზრდობა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მეცხოველეობის ფერმებში საამუშაოდ წავიდა 200-ზე მეტი კომკავშირელი, რომლებმაც მანამდე თავი ისახელეს საკოლმეურნეო წარმოების სხვა უბნებზე. ახლა კომკავშირული ბრიგადები შექმნილია ოლქის მრავალ კოლმეურნეობაში. ისინი წარმატებით აშენებენ პიონერული ყვის სადგომებს, მუშაობენ თივის დამზადებაზე, სილოსის ჩადებაზე.

კომკავშირის საამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტმა წელს რამდენჯერმე იმსჯელა იმ პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის დონის ამაღლების შესახებ, რომლებიც მეცხოველეობის კოლმეურნეობებთან არსებობენ. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე მყოფ კომკავშირელებსა და ახალგაზრდებს შორის მასობრ

ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობისათვის

ნავთლუღის რკინიგზის კვანძის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე

ამას წინათ გაიმართა ნავთლუღის რკინიგზის კვანძის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელშაც განიხილა კვანძის საწარმოებში ზამთრისათვის მზადების საკითხი.

მომხსენებელმა, ნავთლუღის კვანძის დირექტორმა მდივანმა ამხ. ს. აბულაძემ სიტყვებით გამოსულმა რკინიგზელებმა აღნიშნეს, რომ პარტიული ორგანიზაციის კრებებმა, რომლებიც ადგილზე მოეწყო, ნათელყო კომუნისტებისა და უპარტიოების მზადყოფნა ამ საქმეში განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებები, ახალი წარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ ოქტომბრის XX ყრილობას.

კვანძის ბევრ საწარმოში დროულად ჩატარდა მუშაობა ზამთრის მომზადებულად შეხვედრისათვის. ნავთლუღის სადგურში, სალიანდაგო დისტანციაში, ვაგონების ტექნიკური გასინჯვის პუნქტში პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილზე განიხილეს ზამთრისათვის მზადების საკითხები, დასახეს ღონისძიებები, რომლებსაც უკვე ახორციელებენ. მაგალითად, სალიანდაგო დისტანციამ წესრიგზე მოიყვანა სადგურლიანდაგები, პირველი მაისისათვის დასრულა მიმდინარე ხუთწლიანი გეგმიდან მთელი რიგი ძირითადი მაჩვენებლები. ვაგონების ტექნიკური გასინჯვის ნავთლუღის პუნქტმა 8 თვეში ადგილობრივი შეკეთებიდან გეგმის ზევით დაამუშავა 124 ვაგონი, ამავე პერიოდში ნავთლუღის სადგურმა ვაგონების ჩამოტვირთვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

მიუხედავად ამისა, ზამთრისათვის მზადების საქმეში მთელი რიგი ნაკლოვანებებია. ნავთლუღის სადგური დღემდე არ არის მომარაგებული თოვლის საწმენდი ხელსაწყო-იარაღებით, არც საკმაოდ ნიშნებია უზრუნველყოფილი ნაწილებით. მოუმარაგებელია საწყობი. სალიანდაგო დისტანციაში ნელი ტემპით მიმდინარეობს სასამსახურო და საცხოვრებელი ბინების შეკეთება. ვაგონების ტექნიკური გასინჯვის პუნქტში შეუკეთებელია ამწეები, დაუთბუნებელია საამქროები. სატვირთო სადგურში მექანიზმების მოცდენის შედეგად დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები დროულად არ სრულდება.

შენობა-ნაგებობათა თბილისის დისტანციის ნავთლუღის პუნქტის შემკეთებლები რემონტს უხეიროდ აკეთებენ, რის გამო მთელ რიგ სახლებში წყალი ჩამოდის, საკვამლე მილები გაუწმენდავია. ზამთრისათვის მზადებას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ კავშირგაბმულობის ნავთლუღის დისტანციაში, სატელეფონო კავშირი ხშირად ზიანდება, ელექტროსაათები არ მუშაობენ, დარღვეულია კავშირი ჩიხებთან.

რკინიგზა რომ ზამთარს მომზადებული შეხვდეს, საჭიროა კლიენტებთან შეთანხმებული მუშაობა. საწყაროოდ, ეს აქ არ იგრძნობა. 8 თვიდან ნავთლუღის სადგურმა მხოლოდ 2 თვეში შეასრულა ვაგონების ბრუნვის ნორმები. ამის მიზეზია ის, რომ კლიენტებსა და რკინიგზელებს შორის არ არის ურთიერთშეთანხმებული მუშაობა. ნავთლუღის წისქვილკომბინატის გარდა, კლიენტების უმრავლესობა არ აწარმოებს ქვირა-უქმე დღეებში ვაგონების დატვირთვა გადმოტვირთვას. 8 თვეში ვაგონების ზედმეტად მოცდენისათვის კლიენტებმა რკინიგზას ჯარიმის სახით 444.743 მანეთი გადაუხადეს.

აქტივზე გაკრიტიკებულ იქნა ამერიკავკასიის გზის სამმართველო, კერძოდ გზის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური მასალების სუსტად მიწოდებისათვის, სამართლიანად უსაყვედურეს მუშათა მომარაგების თბილისის განყოფილებას, რომელიც ცუდად ამარაგებს რკინიგზელებს პროდუქტებით.

პარტიულ-სამეურნეო აქტივს ესწრებოდნენ რკინიგზის კლიენტებიც.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებამ დასახა პრაქტიკული ღონისძიებები.

შეკეთება ჭიანურდება

ზაშურის საორთქლმავლო დეპოს კოლექტივი ამერიკავკასიის რკინიგზის ერთ-ერთ პასუხსაგებ უნახს ემსახურება. ზაშურელმა მეორთქლმავლეებმა მოკლე ვადაში რემონტიდან გამოიყვანეს 6 ორთქლმავალი. გადადგმულია ოთხი ორთქლმავლების დასაბუნებლად, მაგრამ ზამთრისათვის მზადებაში ჯერ სერიოზული ნაკლოვანებებია.

დეპოს შენობისა და საამქროების კაპიტალური შეკეთებისათვის გამოყოფილი 91.000 მანეთიდან ათვისებულია მხოლოდ 6.500 მანეთი. ამის მიზეზია მასალების უქონლობა. მეორთქლმავლებს აკლიათ ფურცლოვანი რკინა, ბრეზენტი, ფერხდება აგრეთვე კანალიზაციის გაყვანის სამუშაოები. მოუწყობელია სიღის შესანახი, შეუკეთებელია ორთქლმავლების თბილი გარეცხვის საამქრო.

როგორც რკინიგზის სხვა საწარმოთა კოლექტივებს, ისე ზაშურელ მეორთქლმავლეებსაც აღებული აქვთ ვალდებულებები ზამთრისათვის მზადების სამუშაოები 7 ნოემბრისათვის დაამთავრონ. დრო გადის, კაპიტალურ სამუშაოთა შესრულების ვადები იწურება. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს გზის თბილისის განყოფილებამ. მან სასწრაფოდ უნდა მიაწოდოს მასალები დეპოს, დაეხმაროს მეორთქლმავლეებს სრული მზადყოფნით შეხვდნენ ზამთარს.

ვ. ძნელაძე.

სკოლის სასწავლო-საცდელ ნაკვეთზე

ლამაზი სანახავია რკინიგზის 62-ე საშუალო სკოლის სასწავლო-საცდელი ნაკვეთი. აქ ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ბრიოკი ადგილი იყო, ამჟამად კი ადამიანის თვალს ახარებს ახლად გაშენებული ბაღნარის ნახვა. რომელ მცენარეს არ ნახავს აქ კაცი. აგერ მარადმწვანე მცენარეები — ფიჭვი, ნაძვი, კვიპაროსი, ტუია, ცოტა მოშორებით ნორჩი ხეხილი — ვაშლი, ატამი, ბალი, გარგარი და სხვ. მოსწავლეებს არც ვაზი დავიწყებიათ. უკვე მეორე წელია მათ ჩაყარეს 150 ძირი ვაზი.

ყოველდღიურად მხიარული ერიამული გაისმის ბაღიდან. V-VI კლასების მოსწავლეები, რომლებიც გაერთიანებული არიან ნორჩ მიჩურინელთა წრეში (ხელმძღვანელი ვ. ვაშაკიძე), გულმოდგინედ უვლიან მათ მიერ დარგულ მცენარეებს. მოსწავლეებმა უკვე მიიღეს ბოსტნეულის უხვი მოსავალი — პამიდორი, კომბოსტო, ბადრიჯანი და ა. შ. ეს ბოსტნეულის უხვი მოსავალი — პამიდორი, კომბოსტო, ბადრიჯანი და უფასოდ გადასცეს რკინიგზის მე-4 საბავშვო ბაღს. ნორჩმა მიჩურინელებმა უკვე აიღეს აგრეთვე სიმინდის მოსავალი.

სურათებზე: რკინიგზის 62-ე საშუალო სკოლის ნორჩი მიჩურინელები იღებენ კომბოსტოსა და ბამბის მოსავალს. ფოტო შ. ჩხეიანისა.

მთის სოფელი ზოტი დღეს

ზოტი ერთ-ერთი ულამაზესი მთის სოფელია ჩოხატაურის რაიონში. სურებისა და ბახმაროს მთის ტაფობში მდებარეობს იგი. გურიაში კალმახით განთქმული მდინარე გუბაზოული ორად ყოფს ამ სოფელს. ვისაც კი ოდესმე უნახავს ზოტი, არ შეიძლება დავიწყდეს მისი ანკარა წყაროები, ხევნები, ხის მრავალწლიანი იშვითი ჯიშებით მდიდარი ტყეები, ალპური საძოვრები, მთის მაცოცხლებელი ჰ-ვა...

გინ ბოსთვლის, წარსულში ცარიზმის წინააღმდეგ რამდენ მებრძოლს შეუფარებია აქ თავი. აქაური მოხუცები ახლაც იგონებენ, 1905 წლის ნასაკირალის შეტაკებას მონაწილე წითელრაზმელებს — დვაბუელ, ბახელ, შემოქმედელ, ეკაჯაგრელ გლეხებს, რომლებიც მთელი კვირაობით აფარებდნენ თავს ამ სოფელს.

დიდი ოქტომბრის შუქმა ზოტშიც შემოსანათა. გლეხები წელში გაიმართნენ და შეუდგნენ ახალი ცხოვრების შენებას. უწინ აქ სკოლა სრულებით არ იყო, ახლა კი არის რვაწლიანი სკოლა, რომელშიც ორასზე მეტი ბავშვი სწავლობს. არ იყო კულტურის არც ერთი კერა, ახლა კი არის სამკითხველო 1.500-ზე მეტი წიგნით; მას ყოველდღიურად მრავალი მკითხველი ჰყავს.

სოფელი უგზოობის გამო მოწყვეტილი იყო მეზობელ კუთხეებს. ახლა დიდი საგზაო მუშაობა აქ განაღებული. ამ წლის ბოლოს ზოტი ჩოხატაურის რაიონულ ცენტრთან დაკავშირებული იქნება კარგი საავტომობილო გზით. ოსფელს აქვს ოთხასადგილიანი კლუბი, ხშირად უჩვენებენ კინოსურათებს, მართავენ საღამო-წარმოდგენებს, აკითხავენ ლექციები, მოხსენებები. თითქმის ყველა მოსახლეს აქვს ორსართულიანი ახალი ოდა-სახლი.

სოფელს აქვს საფეხმლო პუნქტი, საფოსტო განყოფილება, კოოპერაციული საკავშირო, საწერხი ქარხანა, დაწყებულია მუშაობა სოფლის ელექტროფიკაციისათვის.

საკოლმეურნეო შრომამ შეძლებული და ბედნიერი ცხოვრება მოუტანა ზოტელ გლეხებს. სოფელ ზოტში 180-ვე კომლი გაერთიანებულია კოლმეურნეობაში. აქ ძირითად დარგს ჩიტხოველობა წარმოადგენს. მოაყავთ აგრეთვე კარტოფილი, სიმინდი. მეფუტკრეობა კოლმეურნეობას კარგ შემოსავალს აძლევს.

მეცხოველეობის ფერმა წარმატებით ასრულებს წველადობის გეგმებს. წელს გეგმით თვითეულ საფუროქე ძროხაზე უნდა მიეღოთ 700 კილოგრამი რძე. ფაქტიურად უკვე მიღებულია 709 კილოგრამი.

გაიზარდნენ ადგილობრივი კადრები. მეცხოველეობის ფერმის გამგე ხემზე ირემაძე საკოლმეურნეო პირველადი პარტიული ორგანიზაციის მბიუროს მდივანია. სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობის გამგეობას ადგილობრივი მკვიდრნი ნოდარ ანთაძე და რეჯიბ ართმელაძე უდგანან სათავეში. სოფელ ზოტის მეხოვრენი ომარ ანთაძე და ავთანდილ მიქელაძე ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლობენ.

ზოტის კოლმეურნეობაში ენერგიულად მუშაობით გამოირჩევიან ერიდე ირემაძე, ფერად ტუშაძე, ახმედ ქათამაძე, შახმენდერ გოირგაძე, მეველად ჭელიძე.

ამავე ზოტელი მშრომელები, რომლებიც ჩაბმული არიან პარტიის XX ყრილობის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ენერგიულად ებრძვიან მოსავლის დროზე და უდანაკარგოდ აღებისათვის, პირუტყვის სანიმუშოდ გამოზამთრებისათვის.

ბ. ჩხაიძე.

„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ბელგრადში ჩავიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტი

ბელგრადი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს სპეციალური თვითმფრინავით ბელგრადში ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი და რომელიც მოსკოვიდან გამომგზავრა იუგოსლავიის საკავშირო-სახალხო სკუპშინის მოწვევით.

იუგოსლავიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ზენუნის აეროდრომზე სსრ კავშირის პარლამენტის დელეგაციას შეხვდნენ: იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშინის საკავშირო ვეჩეს თავმჯდომარე ვლადო ბაჩიჩი, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშინის მწარმოებელთა ვეჩეს თავმჯდომარე ივანე ბოეიჩევიჩი, საკავშირო აღმასრულებელი ვეჩეს წევრი ველკო ბეკოვიჩი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჰასან ბრკიჩი, საკავშირო სახალხო სკუპშინის დეპუტატები რაია ნედელკოვიჩი, პუნიშა პეროვიჩი, მილიან ნეორჩიჩი, მარიან იაგოდიჩი, ლაზარ მოისოვი, დობრაკა ჩოსიჩი, ბოსა ცვეტიჩი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ბელგრადის საქალაქო კომიტეტის მდივანი ჯურიცა ოიკიჩი, ბელგრადის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბოჟიდარ ტომიჩი, სერბიის სახალხო სკუპშინის მდივანი სელმი ხაშმუნგოვიჩი, სერბიის ვეჩეს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვოია ლეკოვიჩი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს სრულუფლებიანი მინისტრი დრაგოე ჯურიჩი, საგარეო საქმეთა სახელმწიფო სამდივნოს მრჩეველი ვლადიმერ საიჩიჩი და სხვები.

პარლამენტის დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი იუგოსლავიაში ნ. პ. ფირიუბინი, საელჩოს თანამშრომლები, პრესის წარმომადგენლები.

აეროდრომზე მყოფნი გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა ხალხის წარმომადგენლებს და ყვავილების თაიგულები მიართვეს მათ.

აეროდრომზე საბჭოთა პარლამენტის დელეგაციის მეთაურმა ა. პ. ვოლკოვმა მიკროფონთან განაცხადა:

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მთელი დელეგაციის სახელით გულთბადი მადლობა გიძღვნათ ამ განსაკუთრებით ამაღლებული შეხვედრისათვის, რომელიც თქვენ მოგვიწყეთ. დიდი სიხარულით მივიღეთ ჩვენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშინის მოწვევა ჩამოესულიყავით თქვენს ქვეყანაში და გავსტუმრებოდით თქვენი ხალხის ცხოვრებას.

ჩვენი ვიზიტი ამისა [illegible] ნათ საბჭოთა კავშირ[illegible] საკავშირო სახალხო სკუპშინის დელეგაციისა, იუგოსლავიის პარლამენტის დელეგაციისა ყოფნა საბჭოთა კავშირში მოასწავებდა ჩვენი ქვეყნების ხალხთა ძველი მეგობრობის შემდგომ გაფართოებასა და გაღრმავებას. ეს მეგობრობა განსაკუთრებით მტკიცე იყო მეორე მსოფლიო ომის წლებში, როდესაც საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხები მხარდამხარ ეწეოდნენ ერთობლივ, გმირულ განმათავისუფლებელ ომს ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ჩვენს იუგოსლავიელ მეგობრებს საბჭოთა კავშირში ყოფნისას შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ, ჩვენი ახრით, რაოდენ ღრმა, გულითადი და გულწრფელია სიყვარულისა და სიმპათიის ის გრძნობები, რომლებითაც საბჭოთა ხალხი გამსჭვალულია იუგოსლავიის მომშე ხალხისადმი.

საბჭოთა ადამიანები დიდი სიხარულით აღნობდნენ თავიანთ სასურველ სტუმრებს ყოველივე იმას, რაც შეიძლება მათთვის საინტერესო ყოფილიყო, და სულით და გულით უზიარებდნენ თავიანთ იუგოსლავ მეგობრებს წარმატებებს, რომლებიც მათ მოიპოვეს პრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურისა და ტექნიკის დარგში. იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის სკუპშინის დელეგაციას შესაძლებლობა ჰქონდა თვითონ უშუალოდ გასცნობოდა სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას სსრ კავშირში.

საბჭოთა ხალხი ღრმად დარწმუნებულია, რომ დრო, როცა კეთილი ურთიერთობა ჩვენს შორის დარღვეული იყო, ახლა წარსულს ჩაბარდა, რომ არ არსებობს არავითარი დაბრკოლება ამისათვის, რომ ჩვენი ხალხები შვიდობით და მეგობრულად აშენებდნენ თავიანთ ბედნიერ ცხოვრებას.

ჩვენ გვსურს გამოვთქვათ მტკიცე რწმენა, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ჩამოსვლა იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში, ისევე როგორც იუგოსლავიის საკავშირო სკუპშინის დელეგაციის ჩამოსვლა საბჭოთა კავშირში, ხელს შეუწყობს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ყოველმხრივი პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას ჩვენი ქვეყნების ინტერესებისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის.

ნება მიბოძეთ მთელი საბჭოთა ხალხის სახელით მზურვალე სალამი გადაგცე მოძმე იუგოსლავ ხალხს და შემდგომი დიდი წარმატებები ვუსურვო თავისი ქვეყნის განვითარებაში და თავისი სახელმწიფოს აყვავებაში.

მისი უდიდებულესობის ირანის შაჰინშაჰის სსრ კავშირში მომავალი გამოგზავრების შესახებ

3 ოქტომბერს თეირანში გამოქვეყნდა შაჰინშაჰის კარის სამინისტროს შემდეგი ცნობა:

„ირანსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის კარგი ურთიერთობის განმტკიცების მიზნით მისმა მაღალიმატებულებამ მარშალმა კ. ე. ვოროშილოვმა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ, პირადად, აგრეთვე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ამა წლის 20 ივნისის წერილით მისი უკვეთესი უდიდებულესობა შაჰინშაჰი და მისი უდიდებულესობა შაჰინშაჰის მეუღლე სორეია ფეჰლევი მიიწვია ინახულონ მოსკოვი.

შაჰინშაჰის კარის სამინისტრო იუწყება, რომ ორ ქვეყანას შორის კარგი ურთიერთობის განმტკიცებისათვის მისმა უკვეთესმა უდიდებულესობამ შაჰინშაჰმა და მისმა უდიდებულესობამ შაჰინშაჰის მეუღლემ სორეია ფეჰლევიმ 8 ივლისის წერილით სრული კმაყოფილებით მიიღეს მისი მაღალიმატებულების მარშალ ვოროშილოვის მიწვევა.

მისი უდიდებულესობის შაჰინშაჰისა და მისი უდიდებულესობის შაჰინშაჰის მეუღლის გამგზავრება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში მოხდება 1956 წლის მაისიდან“. (საკდესი).

ექიმის რჩევა

რა უნდა ვიცოდეთ ბავშვთა დამბლის შესახებ

ბავშვთა დამბლა, ანუ პოლიომიელიტი, რაიმე ახალი დაავადება როდია. ეს ცნობილი იყო ჯერ კიდევ უძველეს დროში, მრავალი ათასი წლის წინ ადამიანს წელთაღრიცხვამდე. XVIII საუკუნის დამლევიდან პოლიომიელიტმა გავრცელება იწყო ევროპაში, ხოლო XX საუკუნის დამდეგს — ჩრდილოეთ ამერიკასა და ავსტრალიაში. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში პოლიომიელიტით ყოველწლიურად ავადდება 20-25 ათასამდე ბავშვი, ამერიკას შეერთებულ შტატებში — 30-40 ათასამდე.

ჩვენს ქვეყანაშიც პოლიომიელიტი ადრიდანვე ცნობილია. უკანასკნელი ათეული წლის განძილზე სტატისტიკას აღნიშნული აქვს ბავშვთა დამბლით ავადმყოფი დაავადებანი თითქმის რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში. მეტ წილ შემთხვევებში ავადმყოფობა შედარებით ადვილად მიმდინარეობდა, ბავშვთა ერთეულოვანი პროცენტი სამკურნალო დაწესებულებებიდან ჯანმრთელი, დამბლადაუცემელი გაეწერებოდა ხოლო.

პოლიომიელიტით დაავადებისაგან ბავშვთა დასაცავად, ხოლო უკვე დაავადებულთა — დამბლისაგან დასაცავად მკურნალო დაწესებულებებში იყენებენ ადამიანის სისხლისაგან დამზადებულ პრეპარატს—დონორის შრატს, ასევეთვე გამა-გლობულინს და მშობლების სისხლს. ექიმის განკარგულებაშია უკვე განვითარებული დამბლის საკურნალო საშუალებებიც — მედიკამენტები, ელექტროპროცედურები, ტანსაცმელი, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟი და სხვ.

ყოველივე ეს, ერთად აღებული, ხელს უწყობს პოლიომიელიტის წინააღმდეგ ბრძოლის წარმატებას საბჭოთა ბავშვებში.

ბევრი მშობელი სავსებით ბუნებრივ ინტერესს იჩენს პოლიომიელიტისადმი, ეურს იკოდეს, როგორია მისი პირველი ნიშნები, ავადმყოფისაგან ჯანმრთელისათვის გადაცემის გზები და დაავადების თავიდან აცილების ღონისძიებანი.

ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ, ისევე როგორც ყველა სხვა ავადმყოფობით, პოლიომიელიტით უფრო ადვილად ავადდებიან სუსტი, მოუძლურებული ბავშვები. მაშასადამე, ყოველი ღონისძიებით უნდა ვცდილობდეთ განვუმტკიცოთ ბავშვს ჯანმრთელობა, სწორად ვკვებავდეთ, თვალყურს ვადევნებდეთ, რომ ძილი საკმაო ჰქონდეს და დიდხანს იყოს ხოლმე სუფთა ჰაერზე.

ბავშვთა დამბლა სხვადასხვანაირად იჩენს თავს. ხშირად იგი მსუბუქად მიმდინარეობს და მოგვაგონებს ხან გრიპს, ხან კუჭ-ნაწლავის დაავადებას. ტიპიური ფორმით პოლიომიელიტი მაღალი ტემპერატურით იწყება. ბავშვს გამოაჩნდება თავის ტკივილი, მოუსვენრობა, იგი ადვილად ღიზიანდება ან, პირიქით, ძილად მივარდება. ემართება აგრეთვე სურდო, ხველა, ყელის ტკივილი, გულისრევა, ფაღარათი ან სიყაბზე. პოლიომიელიტის დამახასიათებელი ნიშანია ტკივილი კეფაში, ხელებსა და ფეხებში ან ზურგში, აგრეთვე ძლიერი ოფლიანობა.

დაავადებიდან 5-6 დღის შემდეგ ტემპერატურა ეცემა, და ამ მომენტში შეიძლება მოხდეს დამბლის დაცემა. დამბლავდება სხეულის სხვადასხვა უბნები — ფეხები, ხელები, ნახევარი პირისახე, სხეული. პარალიზებულ კუნთებს შემდეგში თანდათანობით უბრუნდებათ მოძრაობის უნარი, თუმცა არა ყველა შემთხვევაში მთლიანად. ზოგჯერ, განსაკუთრებით არასწორი მკურნალობისა და მოვლის დროს, დამბლამ შეიძლება წარმოშვას სხვადასხვა გამრუდება. მაგალითად, ტერფის გამრუდება, მისი დაკიდება, მუხლების გაღუნვა, პირისახის ასიმეტრია.

პოლიომიელიტით დაავადება შეიძლება წლის ყოველ დროს, მაგრამ მას უფრო ხშირად ვხვდებით ზაფხულის დამლევს და შემოდგომის დამდეგს (ივლისში, აგვისტოში, სექტემბერში). ამ სენით ბავშვები ავადდებიან უმთავრესად 6 თვიდან 5 წლამდე ასაკში.

დაავადებული ბავშვი მაშინვე უნდა გავაცალკევოთ, მოვარიდოთ ჯანმრთელებს და სასწრაფოდ გამოვუძახოთ ექიმს. ავადმყოფი დაუყოვნებლივ უნდა დავაწვინოთ ლოგინში და უზრუნველვყოთ მისი სრული სიმშვიდე. ეს ხელს უწყობს მძიმე დამბლის თავიდან აცილებას.

პოლიომიელიტით დაავადებულ ყველა ბავშვს დაუყოვნებლივ გზავნიან საავადმყოფოში, რადგან რაც უფრო მალე დაიწყება მკურნალობა, მით უფრო ადვილად შეიძლება მიღწეულ იქნას სრული გამოჯანმრთელება.

როგორ ავადდებიან ბავშვები პოლიომიელიტით?

ამ ავადმყოფობას იწვევს განსაკუთრებული ვირუსი, რომელიც იმდენად პატარაა, რომ ჩვეულებრივ მიკროსკოპში არა ჩანს. მის დასანახავად საჭიროა ელექტრონული მიკროსკოპი, რომელიც ათეულ და ასეულ ათასჯერ ადიდებს.

ვირუსი ორგანიზმში შეიძლება მოხვდეს გაჭუჭყიანებულ საკმელთან ერთად, აგრეთვე თუ ბავშვი პირში ჩაიდებს ჭუჭყიან ხელებს ან სათამაშოებს. აქ ვირუსი გაძლიერებით მრავლდება და გამოიყოფა ლორწოსთან ერთად ცხვირხახიდან და უმთავრესად განავალთან ერთად.

ცხვირის დაცემინების, ხველის დროს ლორწო ცხვირხახიდან იშხეფება უწვრილეს წვეთებად. გარდა ამისა, ბავშვი ხშირად აჭუჭყიანებს ნერწყვითა და ლორწოთი ხელებს, სათამაშოებს, საცვლებს, ჭურჭელს. მაგრამ მაინც მთავარ საფრთხეს განავალი წარმოადგენს.

ბავშვთა დამბლის გამომწვევი ვირუსი სხვადასხვა საგნებზე რჩება საკმაოდ დიდხანს, ყოველ შემთხვევაში მეტ ხანს, ვიდრე, მაგალითად, წითელის, ყბაყურის, გრიპის ვირუსები. სუფთა წყალში იგი ინარჩუნებს აქტიურობას რვა თვეზე მეტ ხანს, ხოლო განავალში, კანალიზაციის წყალში — ექვსი თვეზე მეტ ხანს.

ინფექციის გავრცელებაში მონაწილეობენ ბუზებიც, რომელთა ნაწლავებში და თათებზე შეიძლება იყოს ვირუსი. ბავშვთა დაავადების ერთ-ერთი მიზეზია აუდუღებელი რძის ხმარება. მაგალითად, შვეიცარიაში პოლიომიელიტის ეპიდემიის პერიოდში ბავშვები, რომლებიც აუდუღებელ რძეს სვამდნენ, შეიდნახევარჯერ უფრო ხშირად ხდებოდნენ ავად.

პოლიომიელიტის ვირუსი შეიძლება სხვადასხვა საშუალებით მოისპოს. მზის პირდაპირი სხივები მას ერთი საათის განმავლობაში ჰკლავს. ვირუსი სწრაფად იღუპება წყალბადის ზეჟანგის და მანგანუმმჟავა კალიუმის სუსტად ხსნარების მოქმედებითაც კი.

ბავშვთა დამბლის გამომწვევი ვირუსის გასაუვნებლებად ხმარობენ ქლორის პრეპარატს (ქლორის კირი, ქლორამინის ხსნარები) ან მიმართავენ ადუღებას.

როცა ვიცით პოლიომიელიტის ვირუსის თვისებანი, მისი გავრცელების გზები და გაუვნებლების მეთოდები, შეგვიძლია წარმატებით ვებრძოლოთ ამ ავადმყოფობას და არ დავუშვათ ინფექციის გავრცელება.

დაავადების მომენტიდან ავადმყოფობის პირველი ნიშნების გამოჩენამდე გადის განსაზღვრული პერიოდი, რომელსაც ფარული ეწოდება. პოლიომიელიტის ფარული პერიოდის ხოლოსათვის ადამიანისაგან სენი შეიძლება სხვებს გადაედოს. ფარული პერიოდი გრძელდება საშუალოდ 5-14 დღეს, ზოგჯერ 20 დღეს და მეტსაც. ამიტომ ყველა ბავშვი, რომელიც უშუალო სიახლოვეს იყო ავადმყოფთან, 20 დღის განმავლობაში უნდა იმყოფებოდეს კარანტინის პირობებში, ესე იგი არ უნდა იაროს საბავშვო ბაღში და დამორებული უნდა იყოს სხვა ბავშვებს.

თუ კვების, საბავშვო, სავაჭრო დაწესებულებების მუშაკებს ურთიერთობა ჰქონიათ პოლიომიელიტით დაავადებულებთან, იმათაც უნდა გაიარონ 20 დღის კარანტინი.

პატარა ბავშვებს (5 წლამდე), რომლებსაც ურთიერთობა ჰქონიათ ავადმყოფებთან, კარგია გაუკეთდეთ შეშხაპუნება მშობლების სისხლისაგან დამზადებული შრატით ან განსაკუთრებული პრეპარატით — გამა-გლობულინით. ეს იმიტომ ხდება, რომ თხელი სისხლი შეიცავს ნივთიერებებს, რომლებიც აუვნებლებენ პოლიომიელიტის ვირუსს და ეხმარებიან ბავშვის ორგანიზმს დაძლიოს ინფექცია.

მშობლების სისხლისაგან დამზადებულ შრატს ან გამა-გლობულინს ამავე მიზნით შეუშხაპუნებენ ხოლმე უკვე დაავადებულ ბავშვებსაც. აღნიშნულია, რომ ამ საშუალებათა ადრიდანვე გამოყენება აადვილებს ავადმყოფობის მიმდინარეობას.

ზაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გადამდებ სნეულებათა, და კერძოდ პოლიომიელიტის, თავიდან აცილების ყველაზე არსებითი ღონისძიებაა სანიტარიულ-ჰიგიენური წესებისა ზუსტად დაცვა, სანიტარიული კულტურის ამაღლება.

სანამ ავადმყოფი შინ არის, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ცალკე ჭურჭელი და მოვლისათვის საჭირო ცალკე საგნები. ჭამის შემდეგ ჭურჭელი უნდა გაირეცხოს ცხელი წყლით, შემდეგ კი ჩაიწყოს მდუღარე წყალში ან ქლორამინის ხსნარში (1-2 სუფრის კოვზი ქლორამინი ვედრო წყალზე). საჭმლის ნარჩენების გაუვნებლება ხდება ქლორის კირით. განავალს სქელ ფენად აყრიან ქლორის კირს და ასე ტოვებენ ერთ საათს. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მისი ჩასხმა საპირფარეშოში. ღამის ჭურჭელს რეცხავენ ქლორამინის ხსნარით (5 სუფრის კოვზი ქლორამინი ვედრო წყალზე) ან ქლორის კირის ხსნარით (1 სუფრის კოვზი ქლორის კირი ვედრო წყალზე). საცვლებს აგროვებენ ავზში და ასხამენ ქლორამინის ხსნარს (1-2 სუფრის კოვზი ვედრო წყალზე).

ოთახში, სადაც ავადმყოფი წევს, ხშირად უნდა იწმინდებოდეს ჰაერი, იატაკი ყოველდღე უნდა მოირეცხოს საპნითა და სოდით. აუცილებლად უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არ იყოს ბუზები.

ავადმყოფს უნდა უვლიდეს გარკვეული პირი, შეძლებისამებრ ერთი და იგივე. იგი მოვალეა ზუსტად იცავდეს პირადი ჰიგიენის წესებს, უნდა ატარებდეს სპეციალურ ხალათს ან ცალკე ტანსაცმელს, ხელს იბანდეს საპნით და იწმენდდეს სპირტით ან ქლორამინის ხსნარით (5-6 სუფრის კოვზი ქლორამინი ვედრო წყალზე) ყოველთვის, როცა კი შეეხება ავადმყოფს, მის ჭურჭელს, საცვლებს, ტუალეტის საგნებს და განსაკუთრებით ღამის ჭურჭელს.

მას შემდეგ, როცა ავადმყოფს სამკურნალო დაწესებულებაში მოათავსებენ, ყველა მის ნივთს და ოთახს, სადაც იგი იწვა, დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს.

ბავშვთა დამბლის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს დასახლებულის პუნქტის სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობას. ეზოს საპირფარეშოესა და ნაგვის აუთებში ყოველდღე უნდა ჩაიყაროს ქლორის კირი, ისინი კარგად უნდა იყოს დახურული. დალევა შეიძლება მხოლოდ ქლორირებული ან ადუღებული წყლისა.

ზოგიერთი მშობელი პოლიომიელიტის თავიდან აცილების მიზნით მიმართავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც არ შეიძლება მიზანშეწონილად და სწორად ჩაითვალოს.

სრულებით არ არის საჭირო ბავშვების ჩაკეტვა ბინაში იმის შიშით, რომ ისინი ავად გახდებიან ეზოში ან ქუჩაში. ცნობილია, რომ ბავშვს ავადმყოფობა შეიძლება შეეყაროს სახლშიც, ხოლო თუ სუფთა ჰაერზე არ იქნა ხოლმე, იგი დასუსტდება და ინფექცია უფრო ადვილად მოერევა.

არ უნდა ავუკრძალოთ ბავშვებს მოუხარშავი ახალი ხილისა და ბოსტნეულის ჭამა. ეს მათი ჯანმრთელობისათვის აუცილებელი პროდუქტებია. ბოსტნეულსა და ხილს თუ გულმოდგინედ გავწმენდთ და გავრეცხავთ, საკმაოდ საიმედოდ გამოვრიცხავთ ტიფით, დიზენტერიით და პოლიომიელიტით დაავადების საშიშროებას.

სავსებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს კინოებში, თეატრებში და დახურულ შენობებში მასობრ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის X სესია

30 სექტემბრის დღის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). 30 სექტემბრის გენერალური ასამბლეის დილის სხდომის დასაწყისი ნაწილი, აგრეთვე მთელი დღის სხდომა მიეძღვნა დისკუსიას გენერალური ასამბლეის X სესიის დღის წესრიგში ალჟირის საკითხის შეტანის შესახებ. დღის წესრიგში ალჟირის საკითხის შეტანის წინააღმდეგ გამოვიდნენ ინგლისის, ბელგიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის წარმომადგენლები. ასამბლეის დღის წესრიგში ალჟირის საკითხის შეტანას მხარი დაუჭირეს ინდონეზიის, ტაილანდის, კოსტა-რიკის, ლიბანის, ბოლივიის, იემენის, ავღანეთის, ინდოეთის, ჩეხოსლოვაკიის, ლიბერიისა და საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებმა.

გენერალურმა ასამბლეამ ხმის უმრავლესობით უარყო გენერალური კომიტეტის რეკომენდაცია სესიის დღის წესრიგში არ შეეტანოს ალჟირის საკითხი. 28 ხმით 27 ხმის წინააღმდეგ ალჟირის საკითხი შეტანილ იქნა დღის წესრიგში. გენერალური ასამბლეის ამ გადაწყვეტილებას ხმა მისცეს აზიისა და აფრიკის 14 სახელმწიფოს წარმომადგენლებმა, რომლებმაც მოითხოვეს ეს საკითხი შეტანილი ყოფილიყო სესიის დღის წესრიგში, სსრ კავშირის, უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, ფილიპინების, საბერძნეთის, ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის (არგენტინის, ბოლივიის, კოსტა-რიკის, გვატემალის, მექსიკის, ურუგვაის) დელეგაციებმა. გენერალური ასამბლეის ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ ხმა მისცეს 27 ქვეყნის, მათ შორის საფრანგეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ჰოლანდიის, ბელგიის, ავსტრალიის, შვეიცარიის, ნორვეგიის დელეგაციებმა. ხუთი ქვეყნის წარმომადგენლებმა თავი შეიკავეს.

კენჭისყრის შედეგების გამოცხადების შემდეგ საფრანგეთის წარმომადგენელმა პინემ განაცხადა, რომ საფრანგეთი გენერალური ასამბლეის ყოველგვარ რეკომენდაციას ამ საკითხზე დანიხლაცს როგორც არარსებულსა და არანამდვილს და რომ მან არ იცის, რა გაგლენას მოახდენს ეს კენჭისყრა საფრანგეთისა და გაერთიანებული ერების მომავალ ურთიერთობაზე. ამ სიტყვების შემდეგ საფრანგეთის დელეგაციამ სხდომის დარბაზი დატოვა.

ასამბლეამ ხმების დიდი უმრავლესობით თავის დღის წესრიგში შეიტანა აგრეთვე საკითხები: სამხრეთ აფრიკის კავშირში ინდური წარმოშობის პირთა მდგომარეობის შესახებ, სამხრეთ აფრიკის კავშირში რასობრივი კონფლიქტის შესახებ, რაც გამოწვეულია სამხრეთ აფრიკის კავშირის მთავრობის პოლიტიკით, და სხვა საკითხები.

3 ოქტომბრის დღის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 4 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის დილის პლენარულ სხდომაზე 3 ოქტომბერს გრძელდებოდა საერთო პოლიტიკური დისკუსია.

პირველი გამოვიდა ეთიოპიის დელეგაციის მეთაური ატო აკლილუ ხაბტეგოლდი. მან განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობა უნდა იყოს იმ მოძრაობის წახალისება, რომლის მიზანია ის, რომ ყველა ხალხმა მიიღწიოს თვითგამორკვევას. იგი მიემხრო დელეგატებს, რომლებმაც მოითხოვეს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მეტ მზრუნველობას იჩენდეს სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი ეკონომიური და ტექნიკური დახმარებისათვის.

ეთიოპიის დელეგატმა მხარი დაუჭირა კონფერენციის მოწვევას წესდების გადასასინჯავად.

შემდეგ სიტყვა მიეცა შვეიცარიის დელეგაციის მეთაურს უნდენს. ჩამოთვალა რა ამბები, რომლებმაც ხელი შეუწყეს საერთაშორისო დაძაბულობის შერბილებას, უნდენმა ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირთან და ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების კონფერენციასთან ერთად დასახელა იგრეთვე საბჭოთა კავშირ-ფინეთის შეთანხმება პორკალა-უდის ბაზის ფინეთისათვის დაბრუნების შესახებ. როგორც შვეიცარიის წარმომადგენელი, თქვა მან, მე ნებას მივცემ ჩემს თავს შეედი ერის სიხარული გამოვთქვა აქ იმის გამო, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობის დიდსულოვანი აქტის შედეგად, რომელმაც უარი თქვა იჯარის უფლებებზე ვადა გასვლამდე დიდი ხნით ადრე, ჩვენი ზეობლის ტერიტორიაზე არ იქნება უცხოეთის საზღვაო ბაზა.

უნდენმა გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ დაინიშნოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ენერგიული გადასასინჯავად კონფერენციის მოწვევის ვადა. არ უნდა გავაზიანოთ წესდების ნაკლოვანებანი, თქვა მან. თუ იქნება თანამშრომლობის საკმაო ნება, ახლანდელ წესდებას შეუძლია ჩინეთელად ითქმედოს. უნდენმა იმედი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია დათანხმდება უნივერსალობის პრინციპზე და მიიღებს თავის რიგებში კანდიდატ ქვეყნების უმრავლესობას უფრო ადრე, ვიდრე შეიძლება მოწვეულ იქნას კონფერენცია წესდების გადასასინჯავად.

შეეხო რა შემდეგ განიარაღების პრობლემას, უნდენმა თქვა: ამერიკის შეერთებულ შტატებში და სხვა ქვეყნებში გამოთქვამდნენ აზრს, რომ ხელშეკრულება შეიარაღების საერთო შემცირების შესახებ მიუღწევადია. მიზანია და რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხელი უნდა აიღოს საყოველთაო განიარაღების „მოძველებულ“ იდეაზე. მე ინიტიატივა გაეხსენე ეს თვალსაზრისი, რომ მან მხარდაჭერა ჰპოვა ქვეკომიტეტში. მაგრამ ასეთმა თვალსაზრისმა შეიძლება მხოლოდ დაბნეულობა გამოიწვიოს საზოგადოებრივობაში. მართალია უკან უნდა დავიხიოთ ამ პრობლემის ათი წლის „განხილვის“ შემდეგ და განვიცხადოთ, რომ მისი გადაჭრა შეუძლებელია? ჩვენმა თანამშრომლებმა გადაწყვიტეს ატომის ბომბის შექმნის პრობლემა. როგორ შეგვიძლია დავთანხმდეთ კაპიტულაციაზე ამ სიძნელეთა წინაშე, რომლებიც ჩვეულებრივ ამ ბომბზე კონტროლის დაწესების საქმეში? მე არ მჯერა, რომ ასეთი დამარცხების სულისკვეთების პოზიცია განიარაღების პრობლემის მიმართ პოლიტიკურად გამართლებულია.

პაკისტანის წარმომადგენელმა ალიმ ხაზგასმით აღნიშნა „საერთაშორისო კლიმატის“ გაუმჯობესება ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის თათბირის შედეგად და ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალი შეხვედრის მნიშვნელობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მშვიდობის საქმის წარმატებისათვის.

ალიმ გაილაშქრა იმ აზრის წინააღმდეგ, რომ სეატო (სამხეთო ბლოკი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისათვის) და წყნარი ოკეანის პაქტი (ანზიუსი) საფრთხეს უქმნიან ხალხებსა და აზიის იმ ქვეყნების დამოუკიდებლობას, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ამ პაქტში. ამავე დროს იგი შეეცადა ჩირქი მოეცხო შეთანხმებებისათვის, რომლებიც დადებულია სსრ კავშირსა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს შორის.

წესდების გადასინჯვის საკითხზე ალიმ განაცხადა, რომ წესდება უნდა გადასინჯოს უფრო გვიან, „როცა შეიქმნება უფრო ხელსაყრელი საერთაშორისო ატმოსფერო“.

ლიბანის წარმომადგენელმა ჰურიმ გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების გადასინჯვის საკითხში მიღებულ იქნას ნაჩქარევი გადაწყვეტილებანი.

ჰურიმ გამოთქვა იმედი, რომ განიარაღების პრობლემა სწრაფად და სწორად იქნება გადაჭრილი.

ლიბანის დელეგატმა იმედი გამოთქვა, რომ ახალ პირობებში გაერთიანებული ერების ორგანიზაცია გადადგებს ეკონომიურ და ტექნიკურ დახმარებას სუსტადგანვითარებული ქვეყნებისადმი.

ლიბანის დელეგატმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მშვიდობიანი საშუალებებით უნდა გადაჭრას ჩრდილოეთ აფრიკის პრობლემები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, განაგრძო მან, რომ მაროკოს, ტუნისის, ალჟირის ხალხებს აქვთ თვითგამორკვევის უფლება და მთლიანად უნდა გამოიყენონ ეს უფლება როგორც საკუთარი ინტერესებისათვის, ისე მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

სხდომის დასასრულს გამოვიდა არგენტინის წარმომადგენელი პლატე. ჩვენ მოგვაჩნია, თქვა მან, რომ შექმნილ პირობებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის საქმიანობისა და ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მომავალი მოლაპარაკების შედეგად, შეიძლება მიღწეულ იქნას განიარაღების პრობლემის დადებითი გადაჭრა.

არგენტინის დელეგატმა მხარი დაუჭირა ახალი წევრების მიღების „პროცედურის გამარტივებას“ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების „გაუმჯობესებას“.

დედაქალაქთა მერების ყრილობა ფლორენციაში

ფლორენცია, 3 ოქტომბერი. (საკდესი). 2 ოქტომბერს საღამოს ფლორენციაში გაიხსნა მთელი მსოფლიოს დედაქალაქთა მერების ყრილობა.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობას იღებს მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების დედაქალაქთა 70-მდე მერი და მუნიციპალური საბჭოების წევრი. დამსწრეთა შორის არიან: მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ა. იასნოვი, ტირანის სახალხო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ინრიჰიმ სინა, სოფიის მშრომელთა დეპუტატების სახალხო საბჭოს თავმჯდომარე დიმიტრ პოპოვი, პრაღის პრიმატორი ადოლფ სვობოდა, ვარშავის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ეფი ალბრეხტი, ბუქარესტის სახალხო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე სტეფან ბალანი და საბჭოს ორი წევრი, პარიზის მუნიციპალური საბჭოს ვიცე-თავმჯდომარეები დე ვერიკური და ბანდრიეინი, ბონის ობერ-ბურგომისტრი პეტერ ბუზენი, ლონდონის ოლდერმენი ჯორჯ უილკინსონი, ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე კალმან პონგრაცი.

ჩამოვიდნენ აგრეთვე მერები ან მათი წარმომადგენლები ჰელსინკიდან, სან-სალვადორიდან, ტოკიოდან, დელიდან, თეირანიდან, მადრიდან, სტოკჰოლმიდან, რიო-დე-ჟანეიროდან, ამსტერდამიდან და სხვა დედაქალაქებიდან.

პეკინის სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ პან ჯენმა მერების ყრილობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც ნათქვამია: „ალუსურვებ ყრილობას წარმატებას მუშაობაში, რომლის მიზანია მშვიდობის დაცვა მთელ მსოფლიოში, სხვადასხვა ქვეყნის დედაქალაქთა მერებისა და ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის მიღწევა“.

ფლორენციის მერმა, ქრისტიანმა დემოკრატმა ლა პირამ, რომელიც ამ ყრილობის მოწვევის ინიციატორია, მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსწრეთ და ხაზგასმით აღნიშნა ქალაქების როლი მშვიდობისა და ცივილიზაციისათვის ბრძოლაში. მან განაცხადა, რომ ამ ყრილობაზე აღმოსავლეთი და დასავლეთი „გაყოფილი არ არიან უნდობლობის გრძნობით, არამედ, პირიქით, ძმურად არიან გაერთიანებულნი იმედით და მეგობრობის გრძნობით“.

ყველა ქალაქის წარმომადგენლები, თქვა მან, უნდა შეეცადონ ერთობლივად გამონახონ იმის საშუალებანი, რომ კაცობრიობა დაიცვან ატომური ბომბის საფრთხისაგან და მეგობრულად, ნაყოფიერად განიხილონ ყველა ხალხის ცხოვრების საერთო პრობლემები, მათი იმედი და მისწრაფება მშვიდობისაღმი.

ფლორენციის მერის ლა პირას წინადადება მთელი მსოფლიოს დედაქალაქთა მერების ყრილობაზე ქალაქებს შორის მეგობრობისა და მშვიდობის პაქტის დადების შესახებ

რომი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). მთელი მსოფლიოს დედაქალაქთა მერების ყრილობა, რომელიც გუშინ ფლორენციაში გაიხსნა, დღეს დილით მუშაობას განაგრძობდა. ყრილობის მონაწილეები განიხილავდნენ ფლორენციის მერის ჯორჯო ლა პირის წინადადებას ქალაქთა შორის მეგობრობისა და მშვიდობის პაქტის დადების შესახებ.

დაასაბუთა რა ეს წინადადება, ლა პირამ თქვა, რომ მასობრივი მოსპობის იარაღის გაჩენასთან დაკავშირებით „გინსაკუთრებით აქტუალური ხასიათი ეძლევა საკითხს პასუხისმგებლობის შესახებ, რაც ახლანდელ თაობას და, კერძოდ, ხელმძღვანელ მოღვაწეებს ეკისრებათ იმ ქალაქების ბედისათვის, რომლებიც მემკვიდრეობად მიღებულია წარსულ თაობათაგან“. ლა პირამ აღნიშნა, რომ საჭიროა თავიდან აცილებულ იქნას დამანგრეველი ომი და განაცხადა: „ჩვენს ოცნებებს რომ რეალური ხასიათი მივცეთ, ჩვენს ყრილობაზე დავდოთ მეგობრობისა და მშვიდობის სიმბოლური პაქტი, ე. ი. ხელი მოვაწეროთ დოკუმენტს, რომელშიც ნათქვამი იქნება, რომ ფლორენციაში შეკრებილნი მთელი მსოფლიოს დედაქალაქთა წარმომადგენლები ერთმანეთს ეფიცებიან მეგობრობას და აღთქვამენ მიაღწიონ მშვიდობის შენარჩუნებას... ამრიგად ჩვენ შევქმნით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალ იარაღს, რომელიც გამოხატავს მთელი მსოფლიოს ქალაქების მისწრაფებას მშვიდობისადმი და ძმობის პაქტს საფუძვლად დაუდებს ერთა ცხოვრებას.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის განცხადება ჩეხოსლოვაკია-ეგვიპტის სავაჭრო ხელშეკრულების გამო

პრაღა, 3 ოქტომბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო გადმოგვცემს:

ამ დღეებში ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის მთავრობასა და ეგვიპტის რესპუბლიკის მთავრობას შორის დაიდო სავაჭრო ხელშეკრულება, რომლითაც ჩეხოსლოვაკია ვალდებულებას კისრულობს ეგვიპტეს მიაწოდოს სამხედრო საჭურველი ბომბაში, ბრინჯსა და სხვა პროდუქტებში გაცვლით. ამ ხელშეკრულების დადების შემდეგ გაჩაღდა მწვავე კამპანია, რომლის მიზანი უმთავრესად ის არის, რომ ზეგაგლენის გზით აიძულონ ეგვიპტის მთავრობა გააუქმოს ჩეხოსლოვაკიასთან დადებული ხელშეკრულება.

ამასთან დაკავშირებით ჩეხოსლოვაკიის მთავრობას საჭიროდ მიაჩნია განაცხადოს შემდეგი:

ჩეხოსლოვაკია-ეგვიპტის ხელშეკრულება დადებულ იქნა სუვერენულ სახელმწიფოთა იმ უდავო უფლების ბაზაზე, რომ დადონ ხელშეკრულებანი, რომლებიც შეეფერებიან მათს სამართლიან ინტერესებს და შებოჭილი არ არიან რაიმე პირობით.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ ეს ხელშეკრულება დადო ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის ჩარჩოებში და მხედველობაში ჰქონდა ეროვნული დამოუკიდებლობის პოლიტიკა, რომელსაც ეგვიპტის მთავრობა ახორციელებს, და ანგარიშს უწევდა მის კანონიერ უფლებას შეიძინოს საჭირო საშუალებანი თავისი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად.

ჩეხოსლოვაკიის მთავრობა, რომელიც პრინციპულად უარყოფს რაიმე ჩარევას სუვერენულ სახელმწიფოთა ნორმალურ ურთიერთობაში, ზუსტად შეასრულებს თავის ვალდებულებებს, რომლებიც ჩეხოსლოვაკია-ეგვიპტის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობენ.

მოსკოვში ჩამოვიდა ლუქსემბურგის პარლამენტის დელეგაცია

3 ოქტომბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვეით მოსკოვში ჩამოვიდა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს პარლამენტის დელეგაცია. დელეგაციას მეთაურობს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ემილ რეიტერი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან რომენ ფანდელი, ტონი ბიეევერი, მიშელ ევენი, რობერტ შაფერი, ალფონს შილტჰესი, არტურ უზელდინგერი, მარსელ მერისი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, პარლამენტის დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ა. ლებედევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. გ. ტიჰინა, სსრ კავშირის ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მინისტრი ს. ფ. ანტონოვი, საავტომობილო მრეწველობის მინისტრი ნ. ი. სტროკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ა. თ. ბორისოვი, გ. ა. ბორკოვი, ნ. მ. კლიუკინი, ფ. დ. კულაკოვი, ს. ა. სკაჩკოვი, ი. პ. შორკოვი, ვ. მ. ჩურაევი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ე. მ. ალექსანდროვი, ი. ფ. დომბროვსკაია, დ. ა. პოლიკარპოვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები ნ. გ. ოვსიანიკოვი, ვ. ს. სემიონოვი, კ. ი. სერგეიჩუკი, ვ. ნ. სტოლეტოვი, ნ. ე. ტვერდოხლებოვი, საკდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელის მოადგილე კ. პ. შირიაევი, მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეები ნ. ი. ბობროვნიკოვი და ა. პ. კულაკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსი ნ. კ. კოზლოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის უფროსი გ. ი. ფოსინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის 1-ლი განყოფილების გამგე ა. ა. არუთინიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ი. ნ. იაკუშინი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრი ი. მ. ბრუსნიჩინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები.

პარლამენტის დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე ლუქსემბურგის საქმეთა დროებითი რწმუნებული სსრ კავშირში ა. ლაბოირი, პრესის წარმომადგენლები.

დელეგაციასთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდა ლუქსემბურგის საგარეგნო დესანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში რენე ბლუმი.

აეროდრომზე მყოფნი გულთბილად მიესალმნენ ლუქსემბურგის პარლამენტის დეპუტატებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ პ. გ. ტიჰინამ მიმართა ლუქსემბურგის პარლამენტის დეპუტატებს და თქვა:

— ბატონო თავმჯდომარეო,

ბატონო დეპუტატებო,

ნება მიბოძეთ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით გულითადად მოგესალმოთ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში ჩამოსვლის გამო!

მოხარული ვართ სტუმრებად მივიღოთ ლუქსემბურგელი ხალხის წარმომადგენლები.

ვფიქრობ, რომ გამოვხატავ ჩვენს საერთო აზრს, თუ ვიტყვი აქ, რომ ლუქსემბურგის პარლამენტარების მიერ საბჭოთა კავშირის ნახვას დიდი მნიშვნელობა ექნება ჩვენი ქვეყნების ხალხთა მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების თვალსაზრისით.

მოსარული ვიქნებით მოგცეთ შესაძლებლობა გაეცნოთ ჩვენს ქვეყანას და ჩვენი ხალხის ცხოვრებას. საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს თქვენ შეგიძლიათ თვითონ ნახოთ, რომ საბჭოთა ადამიანებს, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას ეწევიან, ფულწრფელად სურთ გაადვილონ და განამტკიცონ მეგობრობა და თანამშრომლობა ლუქსემბურგელ ხალხთან და გამსჭვალული არიან მისწრაფებით დაიცვან ყველა ხალხს შორის მშვიდობის საქმე.

ნებას მივცემ ჩემს თავს გამოვთქვა რწმენა, რომ ეს ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში გამოიწვევს კიდევ უფრო მჭიდრო კავშირს ლუქსემბურგისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის სხვადასხვა დარგში.

აგრეთვე იმედი გვაქვს, რომ ყოველივე ეს საბოლოო ანგარიშით ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შემცდომ შენელებას და წვლილი იქნება მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში!

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო სტუმრებო!

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ლუქსემბურგის დიდი საჰერცოგოს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარემ ემილ რეიტერმა. მან მადლობა გამოთქვა გულთბილი მიღებისათვის, რომელიც შეეხვედრებმა აეროდრომზე მოუწყეს. ემილ რეიტერმა თქვა, რომ ლუქსემბურგისა და სსრ კავშირის ოფიციალურ წარმომადგენელთა პირადმა კონტაქტმა ხელი უნდა შეუწყოს ორი ხალხის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას. (საკდესი).

რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ბუქარესტი, 2 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც პრესა იუწყება, 1955 წლის 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს მიმდინარეობდა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტიის სოფლის პარტიულ პირველმა მდივნებმა. პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები: 1. ორგანიზაციული საკითხები; 2. რუმინეთის მუშათა პარტიის II ყრილობის მოწვევა და ყრილობის დღის წესრიგის დამტკიცება; 3. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მსვლელობა 1955 წელს.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ამხ. გ. გეორგიუ-დეჟი ერთხმად აირჩია რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად და ამ პოსტიდან გაათავისუფლა ამხ. გ. აპოსტოლი, პლენუმმა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად ერთხმად აირჩია ამხ. ი. კიშინევსკი. ამხ. გ. აპოსტოლი რუმინეთის პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია.

პლენუმმა დაადგინა რუმინეთის მუშათა პარტიის II ყრილობა მოიწვიოს 1955 წლის 23 დეკემბერს შემდეგი დღის წესრიგით:

1. რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება — მომხსენებელი ამხ. გ. გეორგიუ-დეჟი.

2. ცენტრალური სარევიზიო კომისიის მოხსენება — მომხსენებელი ამხ. გუინე ნიკოლაე.

3. მოხსენება სახალხო მეურნეობის განვითარების 1956-60 წლების მეორე ხუთწლიანი გეგმის თაობაზე II ყრილობის დირექტივების შესახებ — მომხსენებელი კიუუ სტოიკა.

4. მოხსენება რუმინეთის მუშათა პარტიის წესდების შეცვლის შესახებ — მომხსენებელი ამხ. ჩაუშესკუ ნიკოლაე.

5. პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

პლენუმმა შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ამა წლის საშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა წარმატებით დამთავრება.

საბჭოთა კავშირ-ლიბანის სავაჭრო ურთიერთობის გამო

ბეირუთი, 3 ოქტომბერი. (საკდესი). წარმატებით დამთავრებული მოლაპარაკების შედეგად 1 ოქტომბერს ბეირუთში მოხდა წერილების გაცვლა იმის შესახებ, რომ მორიგი წლიური პერიოდით გაგრძელდეს მოქმედება ურთიერთ მისაწოდებელი საქონლის იმ სიების მოქმედებისა, რომლებიც დადგენილია სსრ კავშირსა და ლიბანს შორის 1954 წლის 30 აპრილის სავაჭრო და საგადამხდელო შეთანხმებით.

ნეკროლოგი

შ. ნ. გოგუშვილი

გარდაცვალა [illegible] ბრი შოთა სპირიდონის-ძე გოგუშვილი.

ამხ. შ. გოგუშვილი დაიბადა 1903 წელს [illegible] ჩხუთის რაიონის სოფელ ნიგოითში. 1921-1[illegible] წლებში იგი მუშაობდა ჩაქვის ჩაის საბჭ[illegible] მეურნეობაში სხვადასხვა თანამდებობაზე. 19[illegible] წლიდან სწავლობს მოსკოვში საკავშირო [illegible] სოფლო-სამეურნეო აკადემიაში.

აკადემიის დამთავრების შემდეგ, 1936 წ[illegible] სექტემბრიდან 1937 წლის ოქტომბრამდე [illegible] გოგუშვილი მუშაობდა ნასაკირალის ჩაის [illegible] შოთა მეურნეობის დირექტორად, ხოლო 19[illegible] 1941 წლებში ჯერ ტრესტ „საქჩაის“ მმართ[illegible] ლის მოადგილედ, ხოლო შემდეგ ჩაის საბჭ[illegible] მეურნეობების ტრესტის მმართველის მოად[illegible] ლედ.

1941-1946 წლებში შ. გოგუშვილი იმყო[illegible] ბოდა საბჭოთა არმიის რიგებში. დემობილი[illegible] ციის შემდეგ — 1946 წლის ოქტომბრი[illegible] გარდაცვალებამდე მუშაობდა ლაითურ[illegible] კიროვის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნ[illegible] ბის დირექტორად.

ამხ. გოგუშვილი იყო კომკავშირის წევ[illegible] 1924 წლიდან, ხოლო სკკპ წევრი — 1928 წ[illegible] დან; ზახარაძის რაიონში მუშაობის პერიოდ[illegible] იგი არჩეული იყო პარტიის რაიკომის წევრ[illegible] და რაისაბჭოს დეპუტატად.

საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფ[illegible] შ. გოგუშვილის დამსახურება, დაჯილდ[illegible] ლენინის ორი ორდენითა და მედლებით, მიან[illegible] ჭა სოციალისტური შრომის გმირის სახელ[illegible] წოდება.

ამხ. გოგუშვილის ხსოვნა დიდხანს დარჩ[illegible] მისი ამხანაგებისა და ნაცნობების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

მსოფლიოს უძლიერეს მოჭიდრაკე ქალთა ტურნირი

პირველ ოქტომბერს მოსკოვში საბჭოთა ა[illegible] მიის ცენტრალური სახლის საკონცერტო დ[illegible] ბაზაში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა მოჭ[illegible] რაკე ქალთა შორის მსოფლიოს ჩემპიონ[illegible] შეხვედრის პრეტენდენტ ქალთა საერთაშორ[illegible] სო საჭადრაკო ტურნირი. ამ შეჯიბრებაშ[illegible] მონაწილეობას იღებს მსოფლიოს 20 უძლეს[illegible] რესი მოჭადრაკე ქალი — 12 ქვეყნის წარმ[illegible] მადგენელი.

2 ოქტომბერს მოსკოვში გაიმართა პირველ[illegible] ტური.

ნანმოკლე იყო ბრძოლა ნედელკოვიჩ-ლა[illegible] რეევიჩის პარტიაში. მე-13 სვლაზე იუგოსლ[illegible] ვიის მოჭადრაკეთა ყაიმით დამ[illegible] თავრდა.

კარფმა (ამერიკის შეერთებული შტატებ[illegible] თავის თანამემამულე გრაფ-სტეივენსონის წ[illegible] ნაღმდეგ უკვე დებიუტში დაუშვა შეცდომ[illegible] და დაკარგა ფიგურა. 24-ე სვლაზე კარფ[illegible] თავი დამარცხებულად ცნო.

დაძაბულად მიმდინარეობდა იგნატიევა (სსრ კავშირი) — ივანოვას (ბულგარეთი) პარტია. პარტნიორები ყაიმზე შეთანხმდნენ.

გურფინკელმა (სსრ კავშირი) თანამიმდევრული თამაშით მოუგო ხეეშსკერკს (ჰოლანდია).

ბორისენკომ (სსრ კავშირი) მოუგო კარასევ[illegible] დე ბუდინჰს (ჩილი). კელერ-გერმანმა (გერ[illegible] მანიის დემოკრატიული რესპუბლიკა) მოუგ[illegible] რუბცოვას (სსრ კავშირი). გრესერმა (ამერიკის შეერთებული შტატები) მოუგო სუზას (ჩეხოსლოვაკია).

სამი პარტია გადაიდო. (საკდესი).

სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში

ბაქო, 4 ოქტომბერი. აქ გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრა ფეხბურთში ჩემპ[illegible] ქვეყნის პირველობაზე „ბ“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ ადგილობრივი „ნეფტჩი[illegible] ნიკასა“ და თბილისის ოფიცერთა საოლქო სა[illegible] ხლის გუნდები. მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით 7 : 1.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დირექცია აცხადებს ინსტიტუტის დაუსწრებელ სტუდენტთა საყურადღებოდ, რომ თბილისში, ინსტიტუტის შენობაში (უნივერსიტეტის ქ. № 32), იწარმოებს კონსულტაციები და დავალიანებულ საგნებში ჩათვლა-გამოცდები.

კონსულტაციები, გამოცდები და ჩათვლები იწარმოებს 9, 23 ოქტომბერს, 13, 27 ნოემბერს და 11, 25 დეკემბერს დილის 9 საათიდან დღის 3 საათამდე.

კონსულტაციაზე ქ. თბილისის და მის ახლო რაიონებში მცხოვრებ დაუსწრებელ სტუდენტთა გამოცხადება საჭიროდ ითვლება.

სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო „ სოიუზპეჩატი“

დაიწყო ხელმოწერა ცენტრალურ, რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ ჟურნალ-გაზეთებზე 1956 წლისათვის

ხელმოწერა მიიღება კავშირგაბმულობის კანტორებში, განყოფილებებში და საagენტოებში, ფოსტალიონების, საკოლმეურნეო წერილების დამტარებლების საშუალებით და საზოგადოებრივ რწმუნებულებთან ფაბრიკებში, ქარხნებში, საწარმოებში, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, საბჭოთა მეურნეობებში და კოლმეურნეობებში.

„სოიუზპეჩატი“.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

დღეს და ყოველდღე

დიდი წარმოდგენა

3 განყოფილებად
მონაწილეობენ

საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატები

დასაწყისი 8 ს. და 30 წ.

კვირას, 9 ოქტომბერს

დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I—12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაშვებიან.

**რუსთა